საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი, 10 აპრილი. 1920 წ.

ერთობა

ფასი 3 მანეთი

გაზეთის ფასი 1 თვით 75 მანეთი, ცალკე — ნომ-[illegible] 3 მანეთი. განცხადების ფასი [illegible] [illegible] სტრიქონის 5 მანეთი. მეოთხე გვერდზე 4 მან. სამგლოვიარო განცხადება ჩარჩოებიანი ზომისა 15×2 სტრიქონი ზომის 100 მანეთი. [illegible] განცხადებები არ [illegible]. რედაქცია და კანტორის მისამართი: გრიბოედოვის ქ. 6, [illegible] [illegible] [illegible] 12—13-მდე. ტელეფონი 16—82

№ 81

ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა

№ 81

მიხეილ გიორგის ძე ომიაძე, ნინო მიხეილის ასული ლიბანიძისა, ევგენია და ცაცუ ომიაძეები ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობებს უდროოდ დაკარგვას პირველის მეუღლისა, ხოლო დანარჩენების ძვირფასის დედის

კეტია ომიაძისას

რომლის გამოსვენება საკუთარი სახლიდან ([illegible] ქ. № 19) ანჩისხატის ეკლესიაში მოხდება შაბათს, 10 აპრილს, დილის 10 საათზე (1223 2—2)

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე ოლღა, დედა ელისაბედ (ლისა), შვილები: პოლიკარპე, დავით, ვალერიან, ვალენტინა, თამარი და მარიამი, სიძენი: დავით ლევდარიანი და შალვა კალანდაძე ამით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ სამშაბათს 13 აპრილს გადასვენებული იქნება მათთვის დაუვიწყარი და ძვირფასის

ნესტორ ივანეს ძე მუჯირის

გარდაცვალებიდან 5 წლის თავის აღსანიშნავად. წირვა და პანაშვიდი ს. [illegible] (ვერის) წმ. გიორგის სახელობის ეკლესიაში. (1230—2—2)

დამწუხრებული შვილები: ალექსანდრე და ლადო ზაქარიას ძენი, რძლები: ნინო და სოფიო, შვილიშვილები: ნადია, ლიუბა და ვერა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ

მარიამ იაკობის ასულის ნაცვლიშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 საათზე, დაკრძალვა მოხდება ორშაბათს 12 აპრილს დილის 9 საათზე, კუკიის წმინდა ნინოს სასაფლაოზე გამოსვენება საკუთარ ბინიდან მე-11 ვერ. რუსთაველის მოედანი № 178. (1236 1—1)

მწუხარებით მყოფნი შვილები: ნინა, ალექსანდრე, ლადო, სონა, ელენე, ანიკო და ვარვარა, რძლები: ნინა და სოფიო, სიძეები: ვასო ენიქიძე და აბესალომ ბუკია აუწყებენ ნაცნობებსა და მეგობრებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 7 აპრილს გარდაიცვალა მათი საყვარელი დედა

მარიამ იაკობის ასული ნაცვლიშვილი

რომლის გამოსვენება საკუთარი სახლიდან და დაკრძალვა მოხდება ორშაბათს, კუკიის სასაფლაოზე დილის ათ საათზე (ნაძალადევი—რუსთაველის მოედანი.) (ნ 1—1)

ღრმად დამწუხრებული შვილი ელენე და სიძე აბესალომ შვილებით: თამარ და შოთიკოთი ბუკიები აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს მათი საყვარელი პირველის დედის, მეორეს სიდედრისა და მესამეს ბებიისა

მარიამ იაკობის ასულის ნაცვლიშვილის

გარდაცვალებას. გამოსვენება მოხდება ორშაბათს საკუთარი ბინიდან, დასაფლავება კუკიის სასაფლაოზე, (ნაძალადევი—რუსთაველის მოედანი.) (ნ. 1—1)

ღრმად დამწუხრებული დები: ფილომენა და ლიდა, ძმა კირილე, მამიდა ლიზა და ბიძა თამა ებრალიძეები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა საყოველთაოდ, რომ სამშაბათს 13 აპრილს (ახ. სტ.) ქ. ლანჩხუთში ნიგოითის ეკლესიაში გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი პირველი სამის ძმის და მამის უკანასკნელთ ორის ძმისწულის და ძმის

ნიკიტა (კიტას) ბესარიონის ძის და ბესარიონ გიორგის ძის ებრალიძეების

სულის მოსახსენებლად, დაწყება დილის 11 საათ. (1220 1—1)

ღრმა მწუხარებაში მყოფნი შვილები: ქეთინა, მარუსია, ირაკლი და ამბროსი აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ ამა წლის აპრილის 11 ს სოფ. დიდ ჯიხაიშში დანიშნულია ორმოცის წირვა და პანაშვიდი მათი საყვარელი დედის უდროოდ დაკარგულის

ფადიმე ბექანის ასულის დიდიძის

სულის მოსახსენებლად. (1243—1—1)

გულმწუხარებული დედა ნინო, დები: ეფემია გრიგოლაშვილისა, მარიამი ბათიაშვილისა, სიძე ალექსანდრე ზაქარიას ძე გრიგოლაშვილი, დისწულები: თამარი, მიშა და კოლა და თამარი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ რომ ორშაბათს 12 აპრილს გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი მათთვის ძვირფასს და დაუვიწყარი

გიორგი ანდრიას ძის გლუაშვილისას

პანაშვიდი დანიშნულია დილის 11 საათზე პეტრე-პავლეს ეკლესიაში.

მოსკოვის სახალხო ბანკის თფილისის განყოფილება

მიიღეთ ინგლისური ფირმის **ცელები** ზომა:
70 და 60 სან.

ნამგლები

პეტროგრადის ტიპის

ცულდები

ნიმუშების გასინჯვა შეიძლება მოსკოვის სახ. ბანკის თფილისის განყოფილებაში (ლორის-მელიქოვის ქ. № 9)

20 აპრილიდან

დილის 10—2 საათამდე. გაუნაწილდება კოოპერატივებს და საზოგადო ორგანიზაციებს სავალიუტო საქონელში გაცვლით. ზემოხსენებულმა ორგანიზაციებმა უნდა მოგვაწოდონ ცნობები თუ რამდენი საქონელი დასჭირდებათ მათ და თან უნდა გამოგვიგზავნონ ნიმუში საეკვივალენტო საქონლისა. (1216—2—2)

ვერაზედ

პირველი ხარისხის რესტორანი

„ბაღი ედემი“

დიდი რემონტის შემდეგ ისევ იღება ამა 7 აპრილიდგან. ბაღში მოწყობილია დარბაზები და ბესედკები, გვაქვს პიანინო, მასთან არის დიდი როტონდო და შუშიანი ბალკონები ამხანაგურ სადილ-ვახშმისათვის. ბაღში დიდი მოიდანი და ხეივანია, მოიდანს ამშვენებს დიდი 300 წლიანი 4 ვერხვი, რომლის ჩრდილებში შეუძლიან ისარგებლოს 100 კაცმა. რესტორანთან არსებობს ბუფეტი, გვაქვს ყოველნაირი ადგილობრივი და საზღვარგარეთული სასმელები. კუხნა ევროპიულ-აზიური, ხელმძღვანელობით გამოცდილ მზარეულითა. ვღებულობთ საამხანაგო სადილებსა და ვახშმებს 200 კაცამდე. ვაჭრობა წარმოებს: ყოველივე მიცემული ზაკაზი იშვება ბუფეტიდგან ნაღდათ გადახდის შემდეგ. პროცენტები მოსპობილია.

(1194—4—4) პატივისცემით ამხანაგობა.

განცხადება

შავი ქვის მრეწველთა საბჭო

იწვევს ქ. ჭიათურის საავადმყოფოსათვის

ხირურგს

შემდეგი პირობებით: ჯამაგირი 9000 მან. თვეში, ბინა, გათბობა და განათებით. გაცნობილი უნდა იყოს [illegible] ნაწილს და გინეკოლოგიას, „[illegible]“, აუცილებლად უნდა იცოდეს ქართული ენა. თხოვნების მიღების უკანასკნელი ვადა არის მიმდინარე წლის 25 აპრილი. მისამართი: თფილისი. რუსთაველის პროსპექტი № 19 შავი ქვის მრეწველთა საბჭო. (1244—1—1)

ცენტრალური საბჭო საშუალო სასწავლებლების მშობელთა წრისა

იწვევს ყველა მშობლების წრეთა წარმომადგენლებს საერთო კრებაზე ოთხშაბათს 14 აპრილს დილის 10 საათზე ქალთა პირველ გიმნაზიის შენობაში. დღის წეს რიგი: მშობელთა წრის დებულების განხილვა, სარევიზიო კომისიის არჩევა და სხ. (1229—1—1)

დაიბეჭდა და დაურიგდა აგენტებს გასაყიდათ კანტორა „განათლების“ გამოცემა ისტორიული სურათი

„განახლებული საქართველო“

სურათი სამი ფერი საღებავით არის დასტამბული, საუკეთესო ქაღალდზე და ღირს 60 მან. (ნ. 1—1)

მოვიყვანეთ საუკეთესო ხარისხის

აბრეშუმის ჭიის თესლი

შემოწმებული თფილისის საააბრეშუმო სადგურის მიერ.
(ყვითელი, ფრანგული ჯიში)
„დ. დ. დიქანოიზოვილის“ ფირმისა.
თუმანოვის ქუჩა, № 22, ბინა მექანიკოშვილისა. (1188 6—5)

საქართველოს კოოპერატიული ბანკი

(ლორის მელიქოვის ქუჩა № 11).

დაიწყებს მოქმედებას 19 აპრილიდან და აწარმოებს ყოველგვარ საბანკო ოპერაციებს. ბანკის გამგეობა ამით აცხადებს აქციონერთა საყურადღებოთ, რომ გამოცემული აქციების ნომინალური ღირებულების დანარჩენი 70 პროც. მათ მიერ შემოტანილ უნდა იქნეს არა უგვიანეს მიმდინარე წლის 15 მაისისა. აქციონერებს, რომლებიც აღნიშნულ ვადამდე არ შემოიტანენ აქციის სრულ ღირებულებას, გამგეობა მოექცევა თანახმად ბანკის წესდების მეორე მუხლისა.

კოოპერატიული ბანკის გამგეობა.

(1204—8—2)

ბათომის ქართველთა ეროვნული საბჭო

სთხოვს საქართველოს რესპუბლიკის თემების გამგეობებს, თემებისა და რკინის გზის ადმინისტრაციას თუ [illegible] [illegible] იმ პირთ, ვისაც ეროვნული საბჭოს მოწმობებით თემიდან გამოაქვთ სანოვაგე ბათომში შესატანათ. და აცნობონ საბჭოს ვინაობა იმათი, რომლებიც თემებისა და ადმინისტრაციის აზრით ბოროტად ხმარობენ ხსენებულ მოწმობებით. საბჭოს მისამართი ქალ. ბათომი მარინეს ქუჩა № 48.

(1160—16—4)

თფილისის საპყრობილეთა ინსპექცია იწვევს

ტორგებზე იმ პირთ, ვისაც სურვილი აქვთ მოაწოდონ თფილისის საპყრობილეთა პატიმრების გამოსაკვებად ხორცი და ქონი საქონლის და ღორის, აგრეთვე პურის ფქვილი, სიმინდი ან სიმინდის ფქვილი, ან და გამომცხვარი პური, კარტოფილი, წითელი ლობიო, სამარხო ზეთი, პერიცა, დაფნის ფოთოლი, ტყემლის ტყლაპი, ბრინჯი, ხახვი, წვნილი და შეშა. საჯარო ვაჭრობა დანიშნულია ა. წ. 14 აპრილს დილის 12 საათზე (სასამართლოს ქუჩა № 32). (ნ. 3—3)

იბეჭდება და ჩქარა გამოვა გასასყიდათ წიგნი შედგენილი ი. ირემაშვილისაგან

რევოლუციის ტალღებში

ისტორიული პიესა 3 მოქმ. და 6 სურათად ივ. გომართელის წინასიტყვაობით თფილისის ს. დემ. ორგანიზაციათა პირველი და მეექვსე რაიონების გამოცემა. პიესა გადაღებული იქნება სინემატოგრაფის ლენტზე საქართველოს კოოპერატივთა კავშირის მიერ. წიგნი ღირებს 50 მანეთი; მოგებიდან 20 პროც. გადაიდება ქართლში მიწისძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ. (ნ. 3—3)

8 აპრილს დილის 1 საათზე თავის მოკვლის განზრახვით

დაიკარგა

17 წლის ქალი შუშანიკა ივანეს ასული როსტომოვი.

მშობლები სთხოვენ მნახველებს თუ რამე იციან ან გაიგონ ამ ქალისა გვაცნობონ შემდეგი ადრესით: „ნოვი არსენალი“ ქ. № 29 ივანე გერასიმეს ძე როსტომოვს. (1238—1—1)

დამფუძნებელი კრება და სომეხ-თათართა ომი

ის საშინელი ხოცვა-ჟლეტა, რომელიც ხდება ამიერ-კავკასიის ორ მეზობელ ერს შორის, იმდენათ საგულისხმოა მთელი ჩვენი მხარისთვის, რომ შეუძლებელია საქართველო, რომელიც პირდაპირ არ არის ამ მტრობა-შუღლში ჩარეული, გვერდზე მდგომ ეულად დარჩეს და თავისი ხმა არ აღიმაღლოს. საქართველოს უზენაესმა ორგანომ—დამფუძნებელმა კრებამ თავის საკუთარ საქმეთ მიიჩნია ის უბედურება, რომელიც დღეს თავს ატყდება ამიერ-კავკასიის ყარაბაღში და ყარსის ოლქში, და ამ საკითხს მოეკიდა ისე, როგორც პირველხარისხოვან შინაურ საკითხს. მან გამართა ხანგრძლივი სხდომა საკითხის ყოველმხრივ გასაშუქებლად და სომეხ-თათართა ომის ამბავი მოისმინა სრულის ყურადღებით და დიდის მღელვარებით.

ის პოზიცია, რომელზედაც თავიდანვე შესდგა დამფუძნებელი კრება ხსენებულ საკითხის განხილვის დროს, შეიძლება დახასიათდეს, როგორც ენერგიული, მაგრამ მასთან ერთად მტკიცედ შეგნებული ჩარევა მოჩხუბარ მეზობელთა საქმეში. როგორც უფროსი ძმა, რომელსაც ერთნაირად უყვარს ორივე მოჩხუბარი ძმა, ისე დგება საქართველო მუსულმანთა და სომეხთა შუა და ცდილობს მათს გაშველებას. საქართველოს საჭიროდ და სასარგებლოდ არ მიაჩნია ამ საქმეში მოსამართლის როლის შესრულება: ჯერ სისხლის ღვრა უნდა შეწყდეს, მერე შეიძლება იმის გამორკვევა, ვინ არის მართალი, ვინ დამნაშავე. სისხლის ღვრის დროს სამართალი სდუმს, მის ხმას ვერავინ შეისმენს.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს არ უნდა იკისროს მოსამართლის როლი, იგი მოვალეთ სთვლის ორივე მოჩხუბარ მხარეს ამხილოს ის ძირითადი შეცდომები, რომლებიც მათ ჩაიდინეს და რის წყალობითაც გამოიწვიეს დღევანდელი უბედურება. ბრალი ორივე მხარეს ერთნაირად მიუძღვის და მდგომარეობს იმ „აღმოსავლეთურ დიპლომატიაში“, რომელსაც აწარმოებს ორივე მხარე ერთმანეთის მიმართ. „აღმოსავლეთური დიპლომატია“, სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის ორატორის აზრით, იმაში მდგომარეობს, რომ ორივე სახელმწიფო—აზერბეიჯანი და სომხეთი—ერთნაირ ენით არ ლაპარაკობენ შინ და გარეთ ერთმანეთის შორის და უცხოელებთან. ერთმანეთს უცდებიან, რომ მათ გულწრფელად სურთ მშვიდობიანობა, გაურბიან ჩხუბს და სისხლის ღვრას, პატივს სცემენ ერთმანეთის უფლებებს და მზად არიან მოლაპარაკებით გაათავონ ყოველივე საკითხი. მაგრამ ამავ დროს ორივე რესპუბლიკა მეზობლების ზურგს უკან, უცხო სახელმწიფოთა წინაშე აწარმოებენ ქურდულ დიპლომატიას, რომლის მიზანიც ის არის, რომ უცხოელთა ძალის ჩარევით რაც შეიძლება მეტი სარგებლობა ჰპოვონ მეზობლების ხარჯზე. ხოცვა-ჟლეტას მხოლოდ მაშინ მოეღება ბოლო, როდესაც სომხეთი და აზერბეიჯანი სამუდამოთ მიატოვებენ ამ „აღმოსავლეთურ დიპლომატიის“ გზას და შეუდგებიან დემოკრატიულ, ახალ და გულწრფელ დიპლომატიის ნიადაგზე.

სოც.-დემოკრატიულ ფრაქციის ორატორმა—ა. ჩხენკელმა აღნიშნა, რომ მოსამართლის როლი, რომელშიაც გამოდის საქართველო, ახალი არ არის; იგი „ტრადიციულია“ და ფესვებ გამდგარია საქართველოს დემოკრატიის ფართო მასსის შეგნებაში. მის შემდეგ, რაც საქართველოს საზოგადოებრივ სარბიელზე გამოვიდა დემოკრატია, მას შემდეგ რაც ის ჩადგა ჩვენი ცხოვრების სათავეში, იგი მუდამ გამოდიოდა ამ როლში და 1905 წ. თავის შვილების სისხლითაც კი აღბეჭდა თავისი ისტორიული მისია. დღეს ასეთ როლს საქართველო კისრულობს არა უბრალო კაცთმოყვარეობის გამო ან მხოლოდ დემოკრატიული იდეალების ერთგულებით, ამას უკარნახებს მას საკუთარი სიცოცხლის ინსტინქტი, თვითდაცვის მოსაზრება. თუ ბოლო არ მოეღო იმ ველურობას, რომელსაც დღეს ადგილი აქვს ყარაბაღში და ჩალდირის რაიონში, იგი ადვილათ დაასამარებს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების დამოუკიდებლობას, ჩვენი ერების თავისუფლებას, იმას, რაც მათ მოიპოვეს დიდი რევოლუციის გზით და შეინარჩუნეს სამი წლის გმირული მუშაობით. მართალია, ჩალდირის რაიონი ჩვენი მოსაზღვრეა და ის ხოცვა-ჟლეტა, რომელიც იქ სწარმოებს, ჩვენი საშინაო საკითხად არის უკვე გადაქცეული, მაგრამ გარდა ბ-ნ ვეშაპელისა არავის უთქვამს, რომ ჩვენ ჩალდირის რაიონის ამბები უფრო გვეხება, ვიდრე ყარაბაღისა. საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ შორეული ყარაბაღის ომი ისევე თავის საქმეთ მიიჩნია, როგორც მახლობელ ჩალდირის მუსულმანთა რბევა.

მტკიცე ნეიტრალური, სათუთი ხელით ეხება საქართველოს დამფუძნებელი კრება მეზობლების ჩხუბში, არც ერთს მხარეზე არ გადუხრია მას სამართლიანობის სასწორი, ორივე მხარეს ერთნაირად ამხილა იგი მის შეცდომებს, ორივე მხარეს ერთნაირად ამშვიდებს და ძირს აშვებინებს ძმის მოსაკლავად აღმართულს ხმალს. თუ არ ჩავთვლით ყოველს გრძნობას მოკლებულს უპასუხისმგებლო ბ. ვეშაპელს, რომელმაც მეტი ბრალი სომხებს დასდო და ისინი მიიჩნია ჩხუბის მიზეზად, მთელი ქართველი ერის დამფუძნებელი კრების ყველა ფრაქციების ორატორების პირით თანასწორად მოეპყრო ორთავე მეზობელს ერს.

მხოლოდ ერთი შიში ამოძრავებს ქართველ ერს—რომ სომეხ-თათართა ომმა არ ჩაითრიოს და სამარე არ გაუთხაროს ამიერ-კავკასიის სახელმწიფოთა დამოუკიდებლობას. მხოლოდ ერთი სურვილით ხელმძღვანელობს იგი, როდესაც მეზობლების საქმეში ერევა: მას უნდა დაუყონებლივ მოუღოს ბოლო იმ „აბდულ-ჰამიდის მეთოდებს“, რომლითაც ჩვენი მეზობლები ცდილობენ თავის სახელმწიფოს აშენებას.

დამფუძნებელი კრება

8 აპრილი. დილის სხდომა.

თავმჯდომარეობს ექვთ. თაყაიშვილი.

დეკრეტები.

გრ. გიორგაძის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი სახალხო გვარდიისათვის 1919—1920 წლის ხარჯთ-აღრიცხვის ანგარიშში 32,000,000 მან. გადადების შესახებ.

ქ. ნანიძის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი მაზრებში გადაყვანილ მიწისმზომელთათვის ერთდროულ დახმარების მიცემის შესახებ.

გ. ცაბაძის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი რესპუბლიკის უწყებათა საკანცელარიო და სამეურნეო ხარჯების დასაფარავად 14,857,485 მან. გადადების შესახებ.

ივ. გომართელის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი საგიმნაზიო საზოგადოების „შევარდენი“-სათვის 150,000 მან. მიცემისა.

ნ. ამნაიშვილის მოხსენებით მიღებული იქნა დეკრეტი—ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მთავარი გამგეობისათვის 5 მილიონ მანეთის სესხად მიცემისა.

მ. რუხაძის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი—კანონთა გადამსინჯავი კომისიის დაარსებისა.

ნ. ამნაიშვილის და გრ. ქადაძის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი დამფუძნებელი კრების წევრთათვის სახაზინო რკინის გზით უფასოდ მიმოსვლის უფლების მიცემისა.

ნ. ამნაიშვილის მოხსენებით მიღებულია დეკრეტი—[illegible] სამკურნალო დაწესებულებათა სამეურნეო ხარჯები-

დღეს

დღეს პოლონეთი უარს აცხადებს საბჭოთა რუსეთთან დროებითი ზავის შეკვრაზე. თანახმა დროებით სამხედრო მოქმედების შეწყვეტის. საზავო მოლაპარაკების ადგილათ პოლონეთი კვლავ დაჟინებით ქალაქ ბორისოვს ასახელებს.

ფრანგული ცნობით გერმანიის ჯარი განაგრძობს რურის ოლქში შესვლას.

ოსმალეთში ახალი სამინისტრო შესდგა.

---

8 აპრილს თფილისში დააპატიმრეს კომუნისტთა ხელმძღვანელი ორგანიზაციის კრება.

დამფუძნებელი კრების მუშაობა დღესასწაულების გამო 20 აპრილამდე შესწყდა.

სათვის სათანადო თანხის გადადებისა.

მ. რუხაძის მოხსენებით ზოგადათ განხილულ იქნა კანონპროექტი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დებულების შეცვლის შესახებ. შემდეგ მიღებულ იქნა საბოლოო ტექსტი ყველა წინა და ამ სხდომაზე განხილულ დეკრეტებისა და კანონპროექტებისა.

პირველი დახმარება გორს.

შემდეგ გორში მომხდარ მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა დამხმარე მთავარი კომიტეტის სახელით მოხსენებას აკეთებს კომიტეტის თავმჯდომარე რ. არსენიძე.

რ. არსენიძის მოხსენება.

მეორე თვე გავიდა მას შემდეგ, რაც გორის ტრაგედია დატრიალდა. თქვენ იცით, რომ გორის უბედურების შემდეგ მაშინვე შესდგა მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა დამხმარე კომიტეტი. ამ კომიტეტს აზრათ აქვს ამ დღეებში ფართე ანგარიშით წარსდგეს საზოგადოების წინაშე. მე დღეს მოგახსენებთ მხოლოდ მთავარ ნაბიჯებს, რომ ლიც ამ კომიტეტის მიერ იყო გადადგმული.

მე უნდა განვაცხადო თქვენს წინაშე, რომ თავდაპირველი დახმარება დაზარალებულთათვის უკვე დამთავრებულად შეიძლება ჩაითვალოს. ჩვენი მიზანი არ ყოფილა ამ ხალხისათვის ინდივიდუალური დახმარების აღმოჩენა, არა, ჩვენი მიზანი იყო ამ ხალხის ზნეობრივათ, სულიერათ მაღლა აწევა, მაგრამ მიუხედავათ ამისა ერთნაირ ქველმოქმედებას აქაც ჰქონდა ადგილი. პირველი, რაც ჩვენ მათთვის უნდა მიგვეწოდებინა, ეს იყო: საჭმელი და თავშესაფარი. პირველსავე დღეებში ჩვენ გავხსენით რამოდენიმე საკვები პუნქტი, აღმოვუჩინეთ საექიმო დახმარება და სხ. სულ დარიგებულია ორი თვის განმავლობაში 8,500 ფუთზე მეტი პური, 510 ფუთი შაქარი, 1360 ფუთი თევზი, 2000 კონსერვი, საცვლები, ტანისამოსი და სხ. შიგ ქალაქში იყო გახსნილი ერთი დიდი სასადილო, 5 საკვები პუნქტები იყო გახსნილი სოფლებში. უმთავრესი დახმარება დასჭირდა ქალაქს სურსათის მხრივ, სოფელმა უფრო ადრე მოამარაგა თავისით სახლის შიგნით. სამაგიეროთ, საექიმო დახმარება სოფელს მეტი დასჭირდა, ვინემ ქალაქს. ქალაქებში იქიდან გაგზავნილ იქნა 289 ავათმყოფი, ადგილობრივათ დახმარება აღმოუჩინა 3000 ზე მეტ კაცს. ამას გარდა, ადგილობრივათ გახსნილ იქნა 3 საავადმყოფო, მთელი თავისი მოწყობილობით; ახალქალაქში და ქარელში მოეწყო 20—20 საწოლიანი საავადმყოფო, სურამში კი 100 საწოლიანი. 20—20 საწოლიანი საავადმყოფო იხსნება მეჯვრისხევში და ქალაქ ხაშურში. ეს იყო ის პირველი დახმარება, რომელსაც ამ მხრივ ჩვენ ვუწევდით ხალხს. მოგახსენებთ ერთს. თავს მოგახსენოთ: ის ჯგუფი და წრეები, რომლებიც ჩვენ ამ საქმეში ენერგიულ დახმარებას გვიჩენდნენ, პირველად ყოვლისა უნდა აღინიშნოს სტუდენტთა სანიტარული რაზმი (66 კაცისაგან შემდგარი) რომელიც [illegible] დაბრკოლების წინაშე არ დაიხია და თავდადებულად მუშაობდა, [illegible] [illegible] დაზარალებულთა საქმეებს. აღსანიშნავია აგრეთვე ჯარში გამოგზავნილ მოსწავლეთა ჯგუფი, რომელიც [illegible] ხელმძღვანელობით და რომელიც (ჯგუფი) სრული წესრიგით თავდადებულათ მუშაობდა: ახლა ზოგიერთ ცნობებს მოგაწოდებთ ლტოლვილთა ევაკუაციის შესახებ. ამ საქმეში [illegible] დიდი დახმარება გაგვიწია, 448 [illegible]. მართალია, ჩვენ მათ ცოტა ხარჯს ვაძლევდით, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ეს მათ გზის ხარჯით არ ყოფნიდათ. გარდა ამისა, ქალაქებში დავაგზავნეთ 293 ვაგონი ლტოლვილები. უმთავრესი ნაწილი ლტოლვილებისა გაგზავნილ იქნა ქ. თფილისში, ბორჯომში, სურამში, შემდეგ ქუთაისში და ასე ბევრი ლტოლვილები მოეწყო სურამში. დაზარალებულებს დახმარება ეძლეოდათ მთავრობის საწყობებიდან,—თეთრეულობა, ნემცების კოლონიებისაგან და კოოპერატივებისაგან.

იყო აგრეთვე ცხვა სახის დახმარება. პირველ დღეებში გორში თფილისიდან გაიგზავნა 3000-ზე მეტი კარავი და იურტები დროებით თავშესაფარის მოსაწყობათ. ჩვენ მივიღეთ ბორჯომიდან 40 ვაგონი ხის მასალა. ამ მასალისაგან გაშენებულია ბარაკები, როგორც ქალაქში, ისე სოფლებში. სოფლელებმა უმთავრესად ისურვეს ცალკე ბარაკების გაშენება, ჩვენ მათ სათანადო დახმარება აღმოუჩინეთ. შემდეგი ჩვენი მუშაობა მდგომარეობდა იმაში, რომ ხალხი გადაგვერჩინა მომავალში განადგურებისაგან. საჭირო იყო ზოგიერთი შენობების სრულიად დანგრევა, წინააღმდეგ შემთხვევაში მოსალოდნელი იყო ზოგიერთი კედლის ჩამონგრევა და ახალი უბედურება. ჩვენ იქ გავგზავნეთ ტეხნიკური კომისია, რომელსაც უმთავრესად ხელმძღვანელობდა ქალაქთა კავშირი და სახლები შემოწმებულ იქნა. სულ ქალაქ გორში დანგრეულ იქნა 160 კედელი. მეორე მიზანი იყო დანგრეული კედლებიდან ნივთების გამოთხრა. ესეც წინასწარ იქნა შესრულებული და დაღუპულ ნანგრევებიდან გამოტანილ იქნა 11 მილიონ მანეთად ღირებული საქონელი.

ამას გარდა აწერილ იქნა ყველა ოთახები. ოთახები შეიძლება დაიყოს ოთხ კატეგორიათ: ოთახი, რომელიც გადარჩა, მეორე, რომელსაც მცირე შეკეთება სჭირია, მესამე, რომელსაც სერიოზული შეკეთება უნდა და მეოთხე, რომელიც სრულიად დანგრეულია. პირველი კატეგორიის ოთახები სულ არ აღმოჩნდა. მცირე შეკეთებით ივარგებს 246 ოთახი, დიდ რემონტს საჭიროებს 3,360 ოთახი, სრულიად უნდა იქნეს დანგრეული და ხელ ახლა გაშენებული 4 591 ოთახი, როგორც ხედავთ, ოთახის ორი მესამედი ოთახებისა სრულიად უნდა დაინგრეს, საერთოდ დანაკლისები გამოანგარიშებულია, რომ გორი იმ სახით აღადგეს, როგორითაც ის იყო მიწის ძვრამდე საჭიროა 800 მილიონზე მეტი და თუ ვიანგარიშებთ იმ ზარალს, რომელიც ქალაქის წარმოებაში და სხვა დარგებში მოუვიდა ამ ხნის განმავლობაში, ზარალი მილიარდ ნახევარს აღწევს.

რაც შეეხება სოფლებს, 54 სოფელს მივეცით ტეხნიკური დახმარება, იქ გაშენდა ბარაკები და ერთგვარი ტეხნიკური საქმეები გაუკეთდა. ამ სოფლებში სრულიად დანგრეულია 14 პროც, უნდა დანგრეულ იქნას 52 პროც, ცოტა შეკეთებით გამოდგება 33 პროც., სულ დაზარალებულია 11,949 ოთახი. რომ აღდგენილ იქნას ეს სოფლები იმ სახით, რომლითაც ის იყო მიწის ძვრამდე, საჭიროა სულ მცირე 558 მილიონ მანეთამდე. ჩვენ ცნობები გვაქვს 72 სოფლის შესახებ. ამ სოფლებში არის 8000 კომლი. ამათგან დაზარალებულია 5638 კომლი. სულ სოფლებში მოკლულია 111 კაცი, ქ. გორში კი 9 კაცი. სულ 118 კაცი.

ამას გარდა გორში გაგზავნილ იყო გეოლოგიური კომისია, რომელსაც უნდა გამოეკვლია, თუ რა ხასიათის იყო მიწის ძვრა, საიდ დაიწყო და სხვა. კომისიას ჯერ ჯერობით თავისი მუშაობა არ დაუმთავრებია, მაგრამ წინასწარი მუშაობა და გამოკვლევა უკვე გვაქვს, შედგენილია მიწის-ძვრის ქარტა (მომხსენებელი აღებს ქარტას ხელში და უჩვენებს კრებას). გვაქვს სტატისტიკური გამოკვლევაც.

მომავალი მუშაობისათვის უნდა ვსთქვა, რომ ჩვენ ვაპირებთ გეგმის, პლანის შედგენას, თუ როგორი სახლები უნდა იქნას გაშენებული როგორც ქალაქში, ისე სოფლებში, განზრახულია ზოგიერთი ნაწილების სულ მოშლა, ყოველ შემთხვევაში ჩვენ ვაპირებთ ფართო ტეხნიკური დახმარების აღმოჩენას ტეხნიკოსების და ინჟინრების გაგზავნით. ხალხის სულიერი განწყობილება ამ ჟამად კარგია. სწავლა სწარმოებს, სასწავლებლები გადატანილია ზოგი თფილისში და ზოგი ბორჯომში. ამას გარდა, ჩვენ უკვე გვაქვს შემუშავებული გეგმა და პლანი სახლის შენობისა და ამ დღეებში გამოიცემა საგანგებოთ დაბეჭდილი იმის შესახებ, თუ რა ტიპის სახლი იქნას აშენებული. შემდეგ მომხსენებელი ეხება იმ თანხას და მასალას, რომელიც მის განკარგულებაში იყო და ამბობს, რომ გარდა დამფ. კრების მიერ გადადებულ 20 მილიონისა, ჩვენს განკარგულებაში იყო სხვა და სხვა საქონელი და მასალა, რომელიც მივიღეთ იქ და რომლის ღირებულება აღემატება 30 მილ. მანეთს. დასასრულ ორატორი აღნიშნავს, რომ ამ დახმარების აღმოჩენით კომიტეტს განსაკუთრებული აპარატი არ ჰქონია. მას ჰყავდა თავისი წარმომადგენელი 5 ნდობილი ქ. გორში, ისე კი, კომიტეტი სარგებლობდა ქალაქთა კავშირის, ერობების და წითელი ჯვარის დახმარებით. შემოწირულების შესახებ აღმით ი. გომართელი მოგახსენებთ.

ივ. გომართელი აღნიშნავს, რომ პროვინციებიდან ყოველ დღე მოდის შემოწირულობები, დარიგებულია კვიტანციები და ფულ ს შეგროვება წესიერათ სწარმოებს დღემდე სულ შემოწირულების სახით შემოსულია 6 მილიონ ნახევარი მანეთი.

ეს განცხადება ცნობათ მიიღო დამფუძნებელმა კრებამ.

(საღამოს სხდომა).

თავმჯდომარეობს ალ. ლომთათიძე.

ყარაბახის გარშემო.

საღამოს სხდომა საგანგებოთ მოწვეული იყო ყარაბახის ამბების განსახილველად. დილის სხდომაზე მოსმენილ იქნა აზერბეიჯანის პარლამენტის მიმართვა როგორც მსოფლიო დემოკრატიისადმი, ისე ამიერ-კავკასიის პარლამენტებისა და დემოკრატიისადმი. ამ მიმართვის შესახებ პირველად ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა აკაკი ჩხენკელმა, რომელმაც აღნიშნა თვით მიმართვის გარეგანი ფორმის მიუღებლობა.—ეს ერთი მეზობლის მეორე მეზობლისთვის, ასეთივე მიუღებელი ფორმა იმ ნოტაში, რომელიც სომხეთის მთავრობამ მოკავშირეთა მისიებს გადასცა. შემდეგ ის ვრცლად შეეხო ყარაბახის ამბების მნიშვნელობას ამიერ კავკასიის რესპუბლიკების არსებობისათვის დღევანდელ პოლიტიკურ მომენტში. ორატორი აკრიტიკებს ორივე სახელმწიფოს მიერ ხმარებულ მეთოდს სადავო საკითხის გადასაჭრელად და ამბობს: ჩვენთვის იარაღით ხელში სადავო საკითხის გადაჭრა მიუღებელია. ასეთი საკითხები უნდა გადაიჭრას ურთიერთ შეთანხმებით, ან სადელეგატო არბიტრაჟით, ჩვენ ყოველი ღონე უნდა ვიღონოთ, რომ ყარაბახის ამბების ლიკვიდაცია, რაც შეიძლება ჩქარა მოხდეს.

შემდეგ ლაპარაკობენ: ლ. შენგელია, გრ. ვეშაპელი, გ. გვაზავა, ევ. გეგეჭკორი და თ. [illegible]. ყველანი აღნიშნავენ ყარაბახის ამბების დაუყონებლივ ლიკვიდაციისათვის ზომების მიღების საჭიროებას. დაწვრილებით ანგარიშს შემდეგ მოგათავსებთ: დასასრულ ერთხმად მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლუცია სოც. დემოკრატიული ფრაქციის მიერ წარმოდგენილი.

„მოისმინა რა აზერბეიჯანის პარლამენტის რეზოლუცია—მიმართვა კულტურულ ხალხთა პარლამენტებისადმი ყარსის ოლქში და ერევნის გუბერნიაში მომხდარი ამბების გამო და იქონია რა მსჯელობა ამ საგანზე დამფუძნებელი კრება აღნიშნავს, რომ 1) ხმლით გადაჭრა ნაციონალურ ტერიტორიალური საკითხებისა საზოგადოთ დასაგმობი და გასაკიცხია. კერძოდ ამ შემთხვევაში თავის შედეგებით ის დამღუპველია უპირველეს ყოვლისა თვით აზერბეიჯანისა და სომხეთის ხალხისათვის.

2) ამავე დროს ორ მოძმე ერთა შორის მტრობა და სისხლის ღვრა ხელსაყრელია მხოლოდ იმათთვის, ვინც ცდილობს ამიერ-კავკასიის დამოუკიდებელი რესპუბლიკების დამხობას და დემოკრატიის ხანგრძლივი ბრძოლით მოპოვებული თავისუფლების მოსპობას. დამფუძნებელი კრება ღრმა მწუხარებას გამოთქვამს იმის გამო, რომ დარღვეულია 1919 წ. 23 ნოემბრის დადებული შეთანხმება აზერბეიჯანსა და სომხეთს შორის.

ამის გამო დამფუძნებელი კრება მოუწოდებს მოძმე რესპუბლიკებს აზერბეიჯანს და სომხეთს ენერგიული ზომები მიიღონ უბედურების შესაჩერებლად და სადავო საკითხების მორიგებით დასათავებლად. ამასთანავე ავალებს საქართველოს მთავრობას, რომელსაც დიდი ხანია გადადგმული აქვს საჭირო ნაბიჯები ამიერ კავკასიის რესპუბლიკათა შორის სრული შეთანხმებისა და სოლიდარობის დასამყარებლად, დაუყოვნებლივ მიიღოს შესაფერი ზომები.

დამფუძნებელი კრება ავალებს პრეზიდიუმს ეს რეზოლუცია აცნობოს აზერბეიჯანის და ერევნის პარლამენტებს.

ბრძანება

[illegible] ფრონტის სარდალ გენერალ ართმელაძის.

(8 აპრილი, 1920 წ., ქალ. თფილისი).

№ 1576.

რესპუბლიკის საზღვარზე, შავი ზღვის გუბერნიაში, მომდგარ მოხალისეთა და ყაზახთა ჯარებში თურმე კიდევ ტრიალებს პროვოკაციული ხმები, თითქოს საქართველოს მთავრობა შეუთანხმდა მათ და იარაღით ხელში გაუშვებს თავის ტერიტორიაზე. ზოგი თ გზებით კიდევ იმუქრებიან,—თუ ნებით არ შეგვიშვებ საქართველომ, ძალით შევიჭრებით მის საზღვრებშიო. ამის გამო გიბრძანებთ შემდეგს:

1) აცნობეთ მოხალისეთა და ყაზახთა ჯარებს, რომ არავითარი სამხედრო შეთანხმება საქართველოსთან არ ყოფილა და არც არის, რომ შეიარაღებული უცხო მხედარი ფეხს ვერ შემოსდგამს დაუსჯელათ რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

2) გააფრთხილეთ მომდგარი ჯარები და ლტოლვილები, იარაღიც რომ ჩაგვაბარონ და ისე მოინდომონ ჩვენს საზღვარში შემოსვლა, თუ რა ძნელი და აუტანელი იქნება მათთვის სასურსათო და ბინის მხრივ ცხოვრება იმ საქართველოში, სადაც თითქმის მთელი მაზრა მიწის ძვრამ დაანგრია, სადაც წელს საშინელი მოუსავლიანობა იყო, იმ საქართველოში, რომელმაც რუსეთის მხრით მრავალი ხნის განმავლობაში განიცადა უსასტიკესი ბლოკადა, და სადაც დღეს, სხვა ქვეყნების მრავალრიცხოვან ლტოლვილთა გარდა, რამდენიმე ათი ათასი რუსის ლტოლვილმა უკვე შეაფარა თავი.

3) აცნობეთ მათ, რომ ვინც არ უნდა იქნეს ჩვენ საზღვართან, ჩვენი სურვილია კეთილმეზობლური განწყობილება დავიცვათ. ამასთანავე კიდევ ერთხელ გააფრთხილეთ, რომ ყოველგვარი მტრული ცდა ძალდატანებით შემოსვლისა და სხვა სასტიკათ იქნება აღმოფხვრილი იარაღის საშუალებით.

ნამდვილზე ხელს აწერს: სამხედრო მინისტრი.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

9 აპრილი.

ადგილობრივი ცნობები.

სამხედრო ცნობები.

დასავლეთის ფრონტი. პოლონელების მიმართულებით ადგილობრივი ხასიათის ომებია. მოზირის რაიონში ჩვენი ნაწილები ტიმოშკოვიჩის სამხრეთ-დასავლეთით მარჯვეთ იბრძვიან. ოვრუჩის რაიონში ჩვენი ნაწილები ოვრუჩის ჩრდილოეთით 25 ვერსზე იბრძვიან. კავკასიის ფრონტი. ჩვენმა ნაწილებმა ტამანის ნახევარ კუნძული დაიკავეს. შავი ზღვის სანაპიროებზე უფიცხესი ბრძოლა სწარმოებს ტუაპსეს ხელში ჩასაგდებათ. გამარჯვება ჯერ ჯერობით ჩვენ მხარეზეა. მაიკოპის რაიონში ჩვენ დავიკავეთ სადგ. [illegible]. ტუაპსეზე შეტევა გრძელდება. უკან დახევის დროს აფეთქებს ხიდებს და ანგრევს გვირაბებს. პეტროვსკის რაიონში ჩვენ ხელთ ვიგდეთ სადგ. კაიაკენტი.

საგარეო ცნობები.

ფრანკფურტში.

„ეკო დე-პარის" ცნობით ფრანკფურტში სრული სიწყნარეა. ხუთშაბათს დილის გაზეთები გამოვიდა. პოლიციის პრეფექტმა განცხადება გამოაკრა, საიდაც ნათქვამია, რომ ოთხშაბათს სამწუხარო ამბების გამეორება დაიწყეს. მცხოვრებლებს ურჩევს სიწყნარის დაცვას და კრძალავს ყოველგვარ კრებას. მეცის კომენდანტი აცხადებს, რომ ხმები საოკუპაციო ჯარის გასვლის შესახებ სიმართლეს არ შეეფერებაო.

რურის ოლქში.

გაზ. „ტანი" იუწყება: გერმანიის ჯარი რურის ოლქში შესვლას განაგრძობს. ნამდვილია, რომ ესსენი დაჭერილი იქნა ჯავშნიანი მატარებლებით და ავტომობილებით და წითელი ჯარი, რიცხვით 1000 კაცი, ინგლისელებს თავისით დანებდნენ, ცნობილია, რომ აკრძალულ ზონაში მთავრობის ჯარის შესვლა სამხედრო პარტიის მიერ მთავრობაზე გავლენით მოხდა.

პოლონეთი და საბჭოთა რუსეთი.

ვარშავიდან იუწყებიან: სახალხო კომისარ ჩიჩერინის მეორე პასუხის შემდეგ პოლონეთთან დროებითი ზავის გამო, პოლონეთის მინისტრთა საბჭომ განიხილა პოლონეთის საგარეო მინისტრის პატეკ ს მიერ ჩიჩერინის ნოტის შესახებ წარმოთქმული საწინააღმდეგო აზრი მოიწონეს პოლონეთის მთავრობის ნოტა, რომელიც უმავთულო ტელეგრაფით მოსკოვში გადასცეს.

ამ ნოტაში პოლონეთის მთავრობა ჩიჩერინს ატყობინებს: ჩვენ მზათ ვართ ბრძანება გავსცეთ, რომ მოლაპარაკების დროს შეწყვეტილი იქნეს ბოლშევიკების წინააღმდეგ სამხედრო მოქმედება, მაგრამ იმავე დროს უარს ვაცხადებთ დროებითი ზავის შეკვრაზე. პოლონეთი დაჟინებით მოითხოვს მოლაპარაკება ბორისოვში მოხდეს, სადაც ბოლშევიკების რწმუნებულებს სრული გარანტია ექნებათ თავისუფლებისა, რომ მთავრობასთან პირდაპირი დამოკიდებულება დაიჭირონ.

ახალი სამინისტრო.

შესდგა ოსმალეთის ახალი სამინისტრო.

ელჩთა კონფერენციაზე.

ელჩთა კონფერენცია ოთხშაბათს შეიკრიბა. მთავრობამ კონფერენციას გააცნო მილერანის ნოტა, რომელიც ბერლინის მთავრობას გაეგზავნა. ეს ჩამოთვლაა ყველა იმ მუხლებისა, რომელიც გერმანიამ დაარღვია.

ინგლისური ცნობები.

(ბაზრიდან)

სტერლინგის კურსი ამერიკაში.

ლონდონში საერთო კმაყოფილებას იწვევს სტერლინგის აწევა ნიუ იორკში, სადაც სტერლინგი ფასობს 16 შილინგი და 3 პენსი იმ დროს, როდესაც თებერვალში იგი ფასობდა 13 შილინგი 1 პენსი.

გერმანიის მთავრობის ჯარი დორტმუნდში შევიდა, ის წითლების მიერ გაცარიელებულია. ჯარი აღმოსავლეთის მიმართულებით წავიდა, წითელი ჯარის წინააღმდეგ, რომელიც რიცხვით ბევრად მეტი იყო. რეგულიარულმა ჯარმა უბრძოლველად დაიჭირა ჩრდილოეთის ნაპირი და მიულჰეიმი.

6 აპრილს ფრანკფურტში და დარმშტადტში ფრანგების ჯარი შევიდა. გერმანიის ჯარი შეუყოვნებლივ გამოვიდა, რათა ფრანგებთან კონფლიქტს ასცდენოდა.

პირველი მაისისათვის

ახლოვდება მუშათა დღესასწაული...

ახლოვდება საერთაშორისო მშრომელთა მობილიზაციის დღე. პირველი მაისი ეს დღესასწაულთა დღესასწაულია. წელს-კი ჯერ ვსდუმვართ, გაჩუმებულვართ. სულ ოცი დღე და პირველი მაისი კარზე მოგვიკაკუნებს.

უცბათ, ორ სამ დღეში საქმე ვერ მოეწყობა სასურველად. საჭიროა ეხლავე შევუდგეთ მზადებას, რათა პირველ მაისს გამოსვლა მოხდეს მწყობრი და ერთ სულოვანი. ეს მუშათა მოძრაობის, მუშათა ერთსულოვნობის და სოლიდარობის დღე უნდა აღინიშნოს შესაფერისი ძლიერებით, საერთო აღფრთოვანებით.

ამ დღესასწაულში უნდა მიიღონ მონაწილეობა ყველა მშრომელმა. ამიტომ საჭიროა საქმეს შევუდგეთ დღეიდანვე. პირველი რაიონის კოლექტივმა უკვე დასვა ეს საკითხი თავის კრებაზე... აირჩია სამაისო კომისია... დაავალა ქარ-კოლექტივებს და პროფესიონალურ კავშირის რაიონულ გამგეობას გამოგზავნონ წარმომადგენლები ამ კომისიაში და ასე შეერთებული ძალით დაიწყონ მუშაობა. სამწუხაროთ, პროფესიონალურ კავშირთა ცენტრი ჯერ სდუმს... დროა და ს ჭიროც ხსენებულმა ცენტრმა, ჩვეულებრივად, თავის თავზე მიიღოს ამ საქმის ხელმძღვანელობა.

საჭიროა საჩქაროდ იქნას მოწვეული შეერთებული კრება პროფესიონალურ კავშირებისა და პარტიული ორგანიზაციების, სადაც შემუშავდება პროგრამა და წესრიგი პირველი მაისის გამოსვლისა.

წელს უნდა ვეცადოთ თავიდან ავიცდინოთ ის პატარა ნაკლი და შეცდომები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა შარშან. ამის მისაღწევათ საჭიროა ადრე საქმის დაწყება, მომზადება, დარაზმვა.

არც ერთი მშრომელი პირველ მაისს სახლში არ უნდა დარჩეს. ეს დიდი ქარხნის, ბუნების დღესასწაულია. შარშან პირველი მაისის გამოსვლას დიდი ელფერი მისცა რკინის გზის სასწავლებლების მოსწავლეთა მრავალრიცხოვანმა და მორთულ მოკაზმულმა გამოსვლამ. პირველი რაიონის სამაისო კომისია იმედოვნებს წელს კიდევ უკეთესი იქნება ხსენებული სასწავლებლების გამოსვლა. მით უმეტეს, დღეს მათ მოსწავლეთა მომღერალ გუნდების გარდა ყავთ მოსწავლეთა სამუსიკო გუნდიც.

მაგრამ თფილისში მარტო რკინის გზის სასწავლებლები როდია. ჩვენ გვწამს, რომ სხვა სასწავლებლები სახალხოთაც მონაწილეობას მიიღებს ამ საერთო დღესასწაულში. მწყობრათ, სიმღერით, მუსიკით ისინიც გამოვლენ საერთო დემონსტრაციაში. მაშ, შევუდგეთ საქმეს. პირველი მაისი გვიახლოვდება.

პირველი რაიონის სამაისო კომისია.

ჩვენი გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 14 აპრილს.

ახალი ამბები

კომუნისტების კრების შეპყრობა.

8 აპრილს საღამოთი თფილისში დააპატიმრეს კომუნისტთა პარტიის ადგილობრივ ხელმძღვანელ ორგანიზაციის კრებაზე მყოფი 12 კაცი. აღმოჩნდა მნიშვნელოვანი საბუთები, საიდანაც სჩანს, რომ კრების მიზანი ყოფილა გეგმის შედგენა თფილისში გამოსვლისა ძალა-უფლების ხელში ჩასაგდებათ. დაპატიმრებულნი არიან: ზუბოვი, პაპანდრერი, სოროკინი, რიზენფელდი, ბელსკი, როხმანი, ბელლისონი, დოქტორი (მეტსახელი) და სხ.

◆ შრომის სამინისტროს მუშათა მაგიდას გადაწყვეტილი აქვს ახლო მომავალში მუშა მოსამსახურეთათვის სურსათის სანოვაგის მიწოდება მოაწყოს, მსგავსად თფილისისა,—ქუთაისში, ფოთში, ჭიათურაში და ტყიბულში.

◆ ყველა ქალაქის დუქნებში უკვე დაიწყეს მუშათა მაგიდის სურსათის დარიგება. შაქარი ეძლევა [illegible] გირ. თევზეული და [illegible]ბით (სულ 2 გირ. [illegible]) სულზე 4 გირვანქა. ეს სურსათი, არა ნაკლებ 3 ფუთისა, პარტიობით ეძლევა მოსამსახურეებს № 2 საწყობიდან სასურსათო განყოფილების ორდერით.

◆ დამფუძნებელი კრების მუშაობა დღესასწაულების გამო შესწყდა 8 აპრილს. მუშაობა განახლდება 20 აპრილს.

◆ საქალაქთა შორისო ტელეფონი ლაპარაკი მოეწყო თფილის—ქუთაისს შორის.

◆ აბანოები ღია იქნება დღეს ნაშუადღევის 2 საათამდე.

◆ სასტუმრო „ფლორიდაში" 8 აპრილს სახელმწიფო გვარდიის საგანგებო ბატალიონის გვარდიელებმა ამხ. ი. ჯუღელთან ერთად ამავე ბატალიონის ადიუტანტ კირილე წულუკიძეს აღმოუჩინეს დონის ფულები დაახლოებით 1 მილ. მ. ფული გადაეცა სახ. გვარდ. მთავარ შტაბს.

◆ რკინის გზელთა [illegible] ფრანგეთში შეიძინეს 360 ათასი არშინი მანუფაქტურა. დაახლოებით 300 მილ. ფრანკათ ღირებული. მანუფაქტურის დარიგება დაიწყება 10 აპრილიდან.

◆ აზერბეიჯანის დელეგაციის ჩამოსვლა. აპრილის 8-ს თფილისში ჩამოვიდა აზერბეიჯანის დელეგაცია ამიერ კავკასიის რესპუბლიკათა წარმომადგენლების კონფერენციაზე დასასწრებლათ.

◆ სიღნაღიდან შემდეგი დეპეშა მივიღეთ: მოისმინა რა დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის პირველი ამხანაგის ალ. ლომთათიძის მოხსენება თანამედროვე მომენტის შესახებ მრავალრიცხოვანი კრება სიღნაღის მოქალაქეებისა სავსებით იზიარებს მთავრობის პოლიტიკას. დარწმუნებულია, რომ იგი ღირსეულად დაიცავს საქართველოს დამოუკიდებლობას, მის საზღვრებს და არსებულ დემოკრატიულ წყობილებას. მტკიცე აღუთქვამს მას რესპუბლიკის მტრების წინააღმდეგ ბრძოლას. ერობის თავმჯდომარე [illegible].

◆ ფარმაცევტების საყურადღებოდ. თფილისის აფთიაქებში მომუშავეთა პროფესიონალურ კავშირის გამგეობა სთხოვს ყველა კავშირის წევრს—ფარმაცევტებს გამოცხადდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ მედიკო-სანიტარულ განყოფილებაში (ქსენიევის ქუჩა № 10) ექიმ არჯევანიძესთან, რომელიც იმუშავებს სიას რესპუბლიკის ფარმაცევტებისას. გამოცხადება შეიძლება ყოველ დღე 12—3 ს. კვირა უქმეების გარდა მაისის 10 მდე.

◆ მომარაგების სამინისტროს განკარგულებით შემდგარმა კომისიამ დაათვალიერა ქალაქის ფურნეები და წისქვილი, აღმოჩნდა ზოგიერთი დეფექტები ხორბლის დაფქვაში, რის თავიდან ასაცილებლად მიღებულია სათანადო ზომები.

◆ „განახლებული საქართველო". რედაქციამ მიიღო კანტორა „განათლების" გამოცემული სურათი „განახლებული საქართველო". სურათი შეიცავს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს დეპუტატების ფაქსიმილებით, გამოჩენილ პოლიტიკურ მოღვაწეთა სურათებს. დაბეჭდილია კარგს ქაღალდზე საუკეთესო საღებავით და ღირს 60 მანეთი.

◆ სახელმწიფო თეატრი. საოპერო რეპერტუარი. ორშაბათს, 12 აპრილს—დილით „ჰოფმანის ზღაპრები", საღამოთი—კოროზინის საბენეფისოდ სტარისტინას მონაწილეობით „ტრავიატა"; სამშაბათს, 13 აპრილს, დილით [illegible] ბენეფისი—„სნეგუროჩკა", საღამოთი 35 წლის იუბილე ვაჟარეცისა—საბალეტო წარმოდგენა; ოთხშაბათს, 14 აპრილს, დილით—„ქეთო და კოტე", საღამოთი ნანობაშვილის ბენეფისი—„მინიონი".

◆ სახალხო გვარდიის ცხენოსან დივიზიონის კულტურულ-განმანათლებელ სექციის ღონისძიებათა გასაძლიერებლად სახელმწიფო თეატრში 12 მარტს, აღდგომის მეორე დღეს დაიდგმება წარმოდგენა საკონცერტო განყოფილებით. წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებენ დრამატიულ სტუდიის არტისტები. საკონცერტო განყოფილებაში დივიზიონის სამხედრო ორკესტრი დაუკრავს კომპოზიტორ ფოცხვერაშვილის მიერ გადაღებულ ქართულ სიმფონიას.

◆ საქართველოს ს. დ. მ. პ. მეორე რაიონულ კოლექტივთან არსებული კულტურული კომისიის გასაძლიერებლად შემოსწირეს ქ. ფოცხვერაშვილმა 500 მანეთი და ვიქტორ ინწკირველმა 200 მანეთი.

◆ ავლაბარში არსებულ დაზარალებულ გორელთა დამხმარე კომიტეტი აუწყებს ყველა კომისიის წევრებს ვისაც ჰქონდა მინდობილი შემოწირულების შეგროვება, რაც შეიძლება, დაუჩქარონ მათ მიერ შეგროვილი ფულის გადაცემა კომიტეტის ხაზინადარ სულთანიშვილზე ან კომიტეტის თავმჯდომარე წულუკიძეზე. უკანასკნელი ყოველ დღე მიიღებს ასეთებს 9—3 ს. მთავარ სასურსათო საწყობის კანცელიარიაში

(პეტრე პავლეს ქ. № 18) და 5—7 საღამოსი მესამე რაიონულ კოლექტივის ბინაზე (ქაშუეთის ქ. № 1.

— „გორის ფონდი“ რედაქციამ მიიღო „გორის ფონდი“-ის სასარგებლოთ შემოწირულებანი: ხონის სასწავლებლებში მოსწავლე ახალ გაზრდა მარქსისტთა ჯგუფის მიერ გორელების სასარგებლოთ გამართულ საღამოდან დარჩენილი შემოსავალი 5 310 მანეთი. მასწავლებელ მ. კოპალეიშვილის მიერ ამხანაგებსა და ნაცნობებში შეგროვილი 3,211 მანეთი. მიწათ-მოქმედების სამინისტროსთან არსებულ შინა მრეწველობის განყოფილების მოსამსახურეებში შეგროვილი 3217 მანეთი. ჯავშნიან მატარებლის № 4 შემადგენლობისაგან გადადებული ერთი დღის ჯამაგირი 1612 მანეთი. ვასილ მასხულიას მიერ შეგროვილი 45 მანეთი. შემოსწირეს: 100 მანეთი: ვ. მასხულიამ, ექიმ. მუჯირმა, პროფ. ებრაელიძემ და შალვა ქანტურიაშვილმა. 50 მანეთი მიშა გაბისონიამ.

ქუთაისი

ამ დღეებში ქუთაისის სამეურნეო სასწავლებლისათვის ქუთაისის განყოფილების გამგეობამ თბილისის მთავარ გამგეობისაგან ამ წლის მეორე ნაწილი მიიღო 23,000 მ. (პირველად 27 000 მ.) მასწავლებლების ჯამაგირებისათვის. ახლო მომავალში სასწავლებლის ხელმძღვანელნი გამართავენ კონცერტს სკოლის სასარგებლოთ.

— გასულ კვირაში მაზრის ადმინისტრაციამ თემებში დაატყვევა რამდენიმე ბოლშევიკი—ხელმძღვანელები. დატყვევებულთ აღმოაჩნდათ საბუთები და აგრეთვე ინსტრუქციები, თუ როგორ უნდა ემუშავათ ჯარში და სხვაგან.

— ქუთაისის გუბერნიის სათემო შტაბმა მიიღო ს. ქვიშხეთში დასამუშავებლად პეტრე წულუკიძის ყოფილი მამული და ქუთაისში ტ. ანათიანის ბაღი, რომელიც წინეთ ციხეს ქონდა. გვარდია უკვე შეუდგა მუშაობას.

— 15 აპრილს დანიშნულია ქუთაისის სამაზრო სოც. დემოკრატიული კომიტეტის კრება. განსახილველია მეტად საჭირო და საყურადღებო საკითხები. პრეზიდიუმი სთხოვს პროვინციაში მყოფ ამხანაგებს აუცილებლათ დაესწრონ კრებას.

— ქუთაისის რაიონულ კოოპერატივთა კავშირმა ცენტრალურ კავშირთან ერთად უცხოეთის ფირმებიდან შეიძინა დიდძალი ფართლეულობა. 60 მილიონამდე ფასაცემულები.

მოპარული მილიონების აღმოჩენა

8 აპრილს დილით სისხლის სამართლის მილიციის უფროს ფიჩულიას აცნობეს, რომ 7 აპრილს ღამით მომარაგების სამინისტროში შეჩნეულ გასაღებით გაუღიათ სამინისტროს კასა და წაუღიათ 7 მილიონ მანეთზე მეტი.

ფიჩულია მაშინვე მივიდა სამინისტროში და დაჰკითხა რა სამინისტროს დაბალი მოსამსახურეები, შეუდგა გამოძიებას. ამ დროს მან შენიშნა, რომ ერთ ერთი მოსამსახურე ჯაფარიძე შეშინებული იყო, დაატუსაღა ის, გაგზავნა სისხლის სამართლის მილიციაში.

როცა გამოძიება სწარმოებდა, სისხლის სამართლის მილიციის უფროსს აცნობა ერთმა მისმა აგენტმა, რომ ყოფილ სასტუმრო „ფილორინგა“-ში მცხოვრებ გვარდიის ოფიცერ წ. წიწიძეს აქვს ერთი მილიონი მანეთი. მილიციის უფროსი მივიდა, გაჩხრიკა წიწიძის ბინა და ბუხარში აღმოაჩინა 1 მილიონი მანეთი. თვით წიწიძე კი, ბათადილიანში დაატუსაღეს; ყველა შეკითხვებზე წიწიძე დაჩენილ ჩვენებას აძლევდა მილიციის უფროსს.

ამის შემდეგ მილიციის უფროსმა მიიღო ერთი მისი თანამშრომლისაგან ცნობა, რომ „ქიმერიონი“-ს მზარეულ გიორგი ჯახაძეს აქვს ორი ტომარა ფული და საღამოს შვიდ საათზე აპირებს „ქიმერიონი“-დან გატანას. ნაშუადღევის ოთხ საათზე ბ-მა ფიჩულიამ გაჩხრიკა ჯახაძე, რომელსაც ჯიბეში აღმოაჩნდა 28,000 მანეთი. ჯახაძემ განაცხადა, რომ ეს ფული მას გადასცეს იმათ, ვინც მოუტანა მას ორი ტომარა ფული. ფული უკანვე წაიღეს, მაგრამ ვინ იყო არ იცის, მხოლოდ სახეზე კი იცნობს. ეს განცხადება მილიციის უფროსს არ ეჩვენა სარწმუნოთ და შეუდგა შენობის გაჩხრეკას, რომელმაც გასტანა 4 საათიდან 8 საათამდე. ფული ვერ აღმოაჩინეს. საღამოს 8 საათზე მილიციის უფროსმა შეაწვინა თავისი მოადგილე სამზარეულოს უკან ბნელ ოთახში, სადაც შეშები ეწყო და იქ შეშებსა და კედელს შუა აღმოაჩინა ორი ტომარა ფული.

ბ. ფიჩულიამ ეს ფული კერძო პირების დასწრებით დაუყოვნებლივ გადასცა ქალაქის მოურავს. მანვე გადასცა წიწიძესთან აღმოჩენილი 1 მილიონი მანეთი და ჯახაძისათვის ჩამორთმეული 28 000 მანეთი. ქალაქის მოურავმა კი ყველა ეს ფულები გადასცა პალატის ბრალმდებელ ტატიშვილს. ფული ჯერჯერობით დათვლილი არ არის.

ოფიცერი წიწიძე, მზარეული ჯახაძე, ეჭვით შეპყრობილი ჯაფარიძე დანაშაულში გამოტყდნენ. გუშინ სისხლის სამართლის მილიციის უფროსმა დაატყვევა გვარდიის ჯავშნიან ავტომობილის თანამშრომელი რუბენ ჩალმაგოვი. უკანასკნელიც გამოტყდა დანაშაულში. გამოირკვა, რომ ქურდობის ინიციატორებათ ყოფილან ოფიცერი წიწიძე და მზარეული ჯახაძე. ქურდობის ერთი მონაწილეთაგანი ჯერ არ არის დატუსაღებული.

ამ საქმის აღმოჩენაში დიდ დახმარებას უწევდენ მილიციის უფროსს გვარდიის ოფიცერი ილიკო ჯაჭელი და სისხლის სამართლის მილიციის უფროსის თანაშემწე ლორთქიფანიძე. საქმის გამოძიება ჯერ დამთავრებული არ არის.

მეაბრეშუმეობისათვის

— ერობებსა და კოოპერატივთა კავშირებს გადაეცა პირველი პარტია აბრეშუმის თესლისა გასასყიდათ საქართველოს ყველა საბრეშუმო რაიონებში.

— მეაბრეშუმეობის ინსპექტორი ი. ქუთათელაძის შუამდგომლობით რესპუბლიკის გზათა მინისტრის ნ. ხომერიკის მიერ გაიცა განკარგულება, რომლითაც ყველა რკინის გზის სადგურებს ევალებათ:

1) აბრეშუმის თესლი, როგორც ფაქიზი—საფუთი რამ საქონელი გადასაგზავნათ მიღებულ იქნას რიგ გარეშე და უნდა იგზავნებოდეს ბაგაჟით სწრაფ სამგზავრო მატარებლებზე.

2) იმ სადგურებში, სადაც იგზავნება თესლი, დაუყოვნებლივ უნდა გადასცენ იგი მიმღებთ—პატრონს და თუ მიმღები—პატრონი თავის დროზე არ გამოცხადდა, სადგურს ევალება დეპეშით აცნობოს ეს ადგილობრივ სამაზრო ერობას ან კოოპერატივთა სარაიონო კავშირს.

— სრულიად საქართველოს მეაბრეშუმეთა პირველი ყრილობა, რომელიც მოწვეული იყო ქ. ქუთაისში, შესდგა კვირას, 4 აპრილს. დაესწრნენ 100-დე მეაბრეშუმეთა, ხაზინადარ ორგანიზაციათა და კერძო საწარმოებათა წარმომადგენლები. ყრილობამ პრეზიდიუმის (თავმჯდომარედ აირჩია ი. ქუთათელაძე, ამხანაგად სრულიად საქართველოს კავშირის წარმომადგენელი აგრონომი ვ. კარბელაშვილი და მდივნად საკრედიტო ამხანაგობათა კავშირის გამგეობის წევრი ქ. კაკაბაძე). არჩევის შემდეგ მოისმინა მოხსენებანი ი. ქუთათელაძისა, ლ. ქიქოძისა, ვ. ივანოვისა, ა. ყორბაჩოვისა და ა. ქლენტისა საქართველოს მეაბრეშუმეობის თესლით უზრუნველყოფისა; თესლის ყიდვა გაყიდვის, აბრეშუმის მოყვანის, პარკის ვაჭრობის, აბრეშუმის მრეწველობის, სახაზინო საკითხების შესახებ და გამოიტანა დადგენილებები, რომლის ცხოვრებაში გატარება მიანდო ცალკე არჩეულ ბიუროს.

ყრილობაზე დიდი კამათი გამოიწვია პარკის მონოპოლიის შემოღებამ, მაგრამ როცა ყრილობა დაწვრილებით გაეცნო მონოპოლიის შემოღების მიზანს, მის ცხოვრებისთვის მთავრობის მიერ მიღებულ ზომებს მეაბრეშუმეობის გავრცელება განვითარებისათვის, და აღსატურა იგი და სურვილი გამოთქვა დაუყოვნებლივ განხორციელებული იქნას მთავრობის მიერ მიღებული ყოველი ზომები.

ლითონზე მომუშავეთა განახლებულ კავშირებში

5 აპრილს შესდგა ლითონზე მომუშავეთა განახლებულ კავშირის გამგეობის პირველი სხდომა. დაესწრო გამგეობის მთელი შემადგენლობა: ლ. მამალაძე, გ. ახალგაზაშვილი, ლ. ანთაძე, ი. ჩილინგაროვი, ფ. საბაშტარიშვილი, გ. ჯანაშია, ს. ვართლოევი, კოვალსკი, ფილიოროვი, ქ. კოპალეიშვილი და ესოვი. სხდომაზე არჩეულ იქნა პრეზიდიუმი: თავმჯდომარეთ ლ. მამალაძე, ამხანაგათ ი. ჩილინგაროვი, მდივნათ ო. ლაცაბაძე და ხაზინადრათ კოვალსკი. ამასთანავე აღიარა შეუთავსებლობა საბჭოს წინაშე რათა ამხ. ლაცაბაძე განთავისუფლებულ იქნას სეკრეტარიატში მუშაობისაგან. ამის შემდეგ დანიშნულ იქნა უბნები გამგეობის წევრთა შორის და დაევალა მათ უბნებში ორგანიზაციული მუშაობა და მუშათა საკითხების მოწესრიგება. ამ მიზნით 3. რიგელ (არსენალის) უბანში დაინიშნა: გ. ახალგაზაშვილი, გ. ჯანაშია და ვართლოევი. მეორე (ვაგზლის) უბანში: ივანოვი და ჩილინგაროვი.

სხდომამ აირჩია 3 პირისაგან შემდგარი კომისია, რომელსაც დაევალა: სრული ანგარიში მოსთხოვოს ძველ გამგეობას და ჩაიბაროს მისგან ინვენტარი. გამგეობის მორიგი სხდომები დაინიშნა სამშაბათობით საღამოს 6-დან 9 საათამდე.

დასასრულ მიღებულ იქნა ამხ. ო. ლაცაბაძის მიერ წარმოდგენილი რეგლამენტი, რომლებიც შემდეგ ნომერში დაიბეჭდება.

სამი თუმნის სიყვარულისკენ

ამ რიგის ქუჩას ვის არ შეხვედრია გატიალებული სახლები... საზარლათ მოგლეჯილი, ყავარ ყავარ დახეთქილი თაღები... ფერდალალა კედლები... კარებისა და ფანჯრების ნასახიც აღარსადა სჩანს... ბუთა და მიკროჭთა სადგურად გადაქცეული სამინლად მოგვითხრობს ამტყდებისა და გაპარტახებაზე..

ოდესღაც იგი პატარძალსავით მოდამაზებული გამოიყურებოდა... შიგ იმალა განუწყვეტელი სიცილ-თქარათქური... შიგა სცხოვრობდა ხალხი, რომლებსაც უყვარდა და ეყვარებდა თავს... ნეტარობდა და ანეტარებდა მოყვასთა..

ახლაკი ნანგრევად გადაქცეულა ზოგი აღამიანი... სახე შემდგრეული, სულ დამახინჯებული, ოცნება დაწიოკებული... დაბრანძულ-ყაყიანი ტანისამოსიც საუკეთესო ამხნელია მისი ტიალი ცხოვრებისა.

ერთხელ ამ აღამიანის მკვრივის ქვეშ მფეთქავდა გული სიყვარულის წყურვილით ალესნებული... იქ სახეებით ითხზებოდა ლამაზ სიცოცხლის სტიქიონები და დღეს იგი დაცლილ-დაგლეჯილია... დღეს იგი ღიაა იმ მიტოვებულ შენობასავით და შიგ თავისუფლად დაჰნავარდობს ყოველის მსპობი მსუსხავი ქარი..

გუშინ შევხვდი ერთს ასეთს პირთაგანს...

ჩემი ძველი მეგობარი იყო, თვალი ამ რიდა...

მან გამიწყვიტნია ძველთან ყოველივე კავშირი და აღარც მე ვეპირები

მე მაინც გადავუდექი წინ... გამოვეცნაური... შედიელი ღიმილით გამებმაურა...

უფლისწულად დამიწყო პასუხის მიცემა...

ნელ ნელა ვიწყებთ საუბარს.. ევროპაზე, ბევრზე... ძალიან ბევრზე... ვინ მოისთვლის, რაზე არ გვინდა ვსაუბროთ ძველს მეგობარს, რომელიც კარგა ხანია არ გვინახავს..

ამბავი ამბავსა სცვლის...

მოგონების მთის გრეხილში ეწვრაფე მიდევენ ერთი მეორეს..

ვიხედები მისს სულში...

ამღვრეულია იგი...

აღარსადაა ძველი სიკეკლუცე... აღარცსად სითბოა... არც გრძნობათა ყვავილები...

სიცივე .. სიცარიელე... სიყურსე ..

დაუპირისპირებით სახელმწიფო თეატრს.

მე ვიგონებ ჩვენს ყრმობას.

— მახსოვს აქ კაზაკები ცხენების თქარა-თქურით რომ გამოგვეკიდნენ მოძრაობის გაიჯერებისას.. როგორ მოუსვით გრძელი კანჯრებით... შენ ქუდიც კი დაგეკარგა...

რას ვფიქრობდით, თუ ასე მალე ფრთებს შეისხამდა ოცნება.. ასე მალე აგვიხდებოდა ოქროს სიზმარი...

ხომ გახსოვს აი ამ შენობაში კადეტთა კორპუსი იყო მოთავსებული... სასწავლებელს კი არა, საჯალათოს წარმოადგენდა... აქ ბავშვის ბაგიდან ინკვიზიცია იყო .. აქ ბავშვებს ჰკვებავდნენ და აწამებდნენ, რომ გამოეზარდათ მეფის მონებად, ფუჭი, ფუჭე ამპარტავნობით თავ-მომწონე მხედრებად...

დღეს კი აქ ჩვენი მთავრობაა...

აქ იქედება საქართველოს დემოკრატიის ნების ყოფა...

— ხო, ხო!.. მახსოვს .. მახსოვს...— ზანტად მიპასუხებს... ეტყობა სულაც არ აინტერესებს ეს საუბარი...

— რა ერის კაცი, რა დაუდგრომელი, რა იქნა შენი ძველი ცეცხლი, სიკოხტე...

ამით იქნება შეეკითხო სახლს, თუ სად გაჰქრა მისი დიდება...

მარტოოდენ ბუკიოტი შღვერა მაცემს თვალ-შეღით პასუხს...

მეგობრისაგანაც ტყუილად ველოდი ელაპარაკებას ..

მისი გულიდან დიდი ხანია განიძევა სიყვარული, რომელიც იგი ეტრფოდა იმ საწინლის დროის... საბრალოდ ეტანინებს ჯოჯოხეთურ ტანჯვას...

— ახალი გაზეთი, ახალი გაზეთი!..— ყვირილით ჩაგვირბინა პატარა ბიჭმა...

— მოიცა, ვიყიდოთ გაზეთი...

მეგობრმა სიბრალულით შემომხედა... ჩაიკეცლალთ ნასთვალა გაზეთის კითხვა.

— ჩემი გაზეთი არაფერი!.. რა უნდა დაუწერია იქნებოდა, რომ ქვეყანად დაჰყოფოდეთ ბევრის გამოხდა. რისი გვეშველებოდა, რიღათიდა ვიტყდებოდით თავს... ვიდას ვეტყოდეთ?.. თვალების ქუჩებით წარმოსთქვა მან ეს სიტყვები, მაგრამ მალე მიუჭრა... გაუცრიატდა... უაზროდ გამომეტყველება მიიღო.

კაფეების წინ შორით ორი ქალმა ჩაგვიარა...

რამდენიმე ნაბიჯი გაიარეს და გაჩერდნენ...

გაცრუებული ხმით აღიღინდნენ..

გახუნებულ თვალებით შემოგვაშტერდნენ...

ავი სენით დამპალი მეძავები იყვნენ...

— წავიდეთ!—გვიწვევდნენ ისინი და თან კეკლუცობის გამოსახატავად ყელებს აიღებდნენ... შლეიფით—სიფრიფანა ტუჩებს ჰპრუწავდნენ ..

„მე არის რასაც ვეძებდით“—სიცილით ამბობს მეგობარი და მიდის მათთან... გასაყიდ ცხენივით ჰხომავს თავით-ფეხამდის...

ხელიც მოუცაცუნა აქა-იქ...

— რამდენი ეღირებით?..

— სამი თუმანი!..

— სამი თუმანი—იმეორებს ამხანაგი...

— არა, მეგობარო, სამ თუმნად შეიძლება სიყვარულის ყიდვა... თქვენ კი... თქვენ... მგოსნები მისტერიებს ჰქმნით სიყვარულისას...

რა მიიღო ჰომეროსმა, რუსთაველმა, შექსპირმა დიდ სიყვარულიდან გარდა იმისა, რასაც იძლევიან ეს პატიოსანი ქალწულნი სამ თუმნად...

— მართალს არ ვამბობ?—შეეკითხა იგი მეძავებს...

— დიახ, დიახ, სრული ჭეშმარიტებაა!..—უპასუხეს მათ და გაიცინეს ..

სამარის სუნთქვასავით შემაზარებელი იყო ეს სიცილი...

— მაშ წავიდეთ და შევსვათ შესანდობარი მათი, რომელნიც უმეცრულად გამოიწვიონ სიყვარულის ლოდინსა და ბედნიერების ძიებაში... მაშინ, როცა სამ თუმნად, მხოლოდ სამ თუმნად შეიძლებოდა გაბედნიერება...

— წავიდეთ, წავიდეთ!..

ყოფილ ქალებმა შუაში ჩაიყენეს ყოფილი ადამიანი და წაიყვანეს სამი თუმნის სიყვარულისკენ...

მეგობრებივით ხელიხელ ჩართულნი მიდიოდნენ ეს ნანგრევები ოდინდელ პიროვნების და მესმოდა როგორ დაგვეცინოდნენ გამოფიტული სიცილით „ფანტაზიორებს“.

დ. თურდოსპირელი.

ოსმალეთი და ინგლისი

გაზეთ „ტაიმს“-ში დაბეჭდილია თემთა პალატის 26 თებერვლის სხდომის ანგარიში, რომელიც შეიცავს კამათს ოსმალეთის საკითხის შესახებ.

თემთა პალატაში პარლამენტის წევრმა სერ დ. მაკლინმა გაკვირვება გამოსთქვა შესახებ იმისა, რომ მოკავშირეებს დაუდგენიათ სტამბოლი ოსმალების ხელში დასტოვონ. ამ საკითხმა პალატაში დიდი კამათი გამოიწვია, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს სერ კერსონმა, ლოიდ ჯორჯმა, რობერტსონმა და სხვებმა.

სერ ე. კერსონმა აღნიშნა, რომ, მართალია, მთავრობა წინად ამტკიცებდა, ოსმალები განდევნილ უნდა იქნენ სტამბოლიდან, მაგრამ ამ ქვეყნად მდგომარეობა შეიცვალა. ხელშეკრულების თანახმად სტამბოლი რუსეთის ხელში უნდა გადასულიყო. მაშინ რუსეთი დიდი იმპერია იყო ახლა მდგომარეობა შეიცვალა. ჩვენგან მოითხოვენ ოსმალები განდევნეთ სტამბოლიდანო. მერე ვინ შეასრულებს ამ ძნელ საქმეს? მთავრობისაგან მოითხოვენ, რომ ჯარი და ფლოტი მინიმუმამდე იქნეს შემცირებული, სტამბოლიდან კი ოსმალების განდევნა უნდათ. ვისაც სურს სტამბოლის დაპყრობა—მან ისიც უნდა მიიღოს მხედველობაში, რომ ეს გამოიწვევს ახალ ომებს, მხედველობაში უნდა მიღებულ იქნას ის გარემოებაც, თუ რა შთაბეჭდილებას მოახდენს სტამბოლიდან ოსმალების განდევნა ინდოეთზე.

ლოიდ ჯორჯი აღნიშნავს, რაც შეეხება რუსეთთან დადებულ ხელშეკრულებას სტამბოლის შესახებ, ის გაუქმებულია ბრესტის ზავის შემდეგ და ბოლშევიკურ მთავრობას არც ძალუძს მოითხოვოს სტამბოლი. აქ მე მომაგონეს ჩემი მიერ დეკემბერში გაკეთებული განცხადება; ჩვენ ვამბობდით, რომ სრუტეებში ახალ დარაჯებს დავაყენებთ იმათ ნაცვლად, ვინც ჩვენი ნებით ვერ განამართლა (ნიკოლოზ მეორეს რუსეთი). ეს იქნება კიდეც შესრულებული. ოსმალები ინგლისის ფლოტს სრუტეებს ვერ დაუხურავენ.

მეორე ჩემი განცხადება იყო გაკეთებული 1918 წელს იანვარში. ჩვენ დეკლარაციაში ნათქვამი იყო, რომ არ ვიბრძვით ავსტრო-უნგრეთის მოსასპობათ, არ გვსურს ოსმალებს წავართვათ მისი სატახტო ქალაქი. ჩვენ ხელს არ ვახლებთ რა ოსმალეთის სატახტო ქალაქს, ვახდენთ სრუტეების ნეიტრალიზაციასა და ინტერნაციონალიზაციას. ჩვენ ვფიქრობდით, რომ არაბეთს, სირიას, სომხეთს, მესოპოტამიას და პალესტინას მიენიჭებოდა უფლება ნაციონალური თვითგამორკვევისა. ამ დეკლარაციის მიზნათ ჰქონდა დასახული, დამშვიდება შეექმნა მუშათა წრეებში და დამემტკიცება, რომ ჩვენ არ ვიბრძოდით იმპერიალისტურ მიზნებისათვის. იყო მეორე მიზეზი ასეთ დეკლარაციის გამოქვეყნებისა. ინდოეთი აღელვებული იყო და საჭიროებდა სიმშვიდეს. ჩვენ დიდი მეცადინეობა დავუჭირეთ, რომ აქ ომისათვის საჭირო წარმოება აგვეყვანა და ინდოეთიდან საჭირო სამხედრო ძალა მიგვეღო. ჩვენ დეკლარაციას შეეძლო მოეყვა ის, რომ ინდოეთში ჯარში ახლად გაწვეულთა რიცხვმა საგრძნობლად იმატა, რომელთა შორის ბევრი იყო მუსულმანი. ჩვენში ხშირად ივიწყებენ იმას, რომ ბრიტანეთის იმპერიის ერთ მეოთხედს მუსულმანები შეადგენენ, რომლებმაც დიდი დახმარება აღმოგვიჩინეს მსოფლიო ომის წარმოების დროს. 1919 წლის მარტში, როდესაც ჩვენ ვარჩევდით საზავო კონფერენციაზე ოსმალეთის საკითხს, ინდოეთის ვიცე-კოროლმა განაცხადა, რომ მუსულმანები ვერ შეურიგდებიან სტამბოლის დაკარგვასო. აქ აღნიშნავდენ, რომ საფრანგეთის და სხვა წრების ფინანსისტებმა გაარძოლეს ოსმალეთს დაუტოვოთ სტამბოლიო. ნამდვილათ კი, ჩვენ გადაწყვეტილებაზე დიდი გავლენა მოახდინა ინდოეთმა. საზავო კონფერენციას დაესწრნენ ინდოეთის მცხოვრებთა წარმომადგენლები: რაჯა ბიკანერი და ლორდი სინჰა. არც ერთი და არც მეორე მუსულმანები არ არიან, მაგრამ ერთიც და მეორეც დაჟინებით აცხადებდენ რომ, თუ ოსმალეთს არ დაუტოვებენ სტამბოლს, ეს იქნება უხეშად დარღვევა ბრიტანეთის დაპირებისა. მე არა ერთხელ მომიხსენია ამ ხანის აზრი ოსმალეთის საკითხის შესახებ. ზემოხსენებული პირი მეტად ნიჭიერი ადამიანია და მრავალ მილიონ მუსულმანთა წარმომადგენელი. მტკიცება იმისა, რომ მუსულმანებზე ფინანსისტები ახდენენ გავლენას; არ შეეფერება სინამდვილეს. თქვენ უნდა გაითვალისწინოთ ის გარემოება, რომ ინდოეთმა მოგვცა მილიონ ნახევარი ჯარისკაცი და მისი დახმარებით დავამარცხეთ ოსმალეთი. და განა ჩვენ დაპირებანი უნდა დავარღვიოთ? ჩვენ შეგვეძლო გვეთქვა: „ჩვენ მოგეცით ასეთი დაპირება 1918 წ. იანვარში, ოსმალები კი 1918 წ. ნოემბერში დაგვემორჩილდენ.“ ჩვენ, რასაკვირველია, შეგვეძლო ასე ვეთქვა, მაგრამ როდესაც აღმოსავლეთში დაგვჭირდება რაიმე დაპირების მიცემა,— მათ შეეძლებათ გვითხრან: „როდესაც დახმარება თქვენთვის საჭირო დროთ თქვენ მაშინ დაპირებას აძლევთო“. ბრიტანეთისათვის დიდ საფრთხეს წარმოადგენს ის, როდესაც აზია არ დაიჯერებს მის დაპირებას. აქ ლაპარაკობდნენ სარწმუნოებრივ მოსაზრებებზე. მე მგონია, რომ ოსმალეთის სტამბოლიდან განდევნა ისე არ გავლენს, როგორც წინაწარმეტყველის დროშის დაბრუნება ქრისტიანობის წინაშე. თუ მუსულმანობაში დაიბადება ასეთი აზრი, მაშინ ჩვენი მართველობას ინდოეთში საშინელი დღე დაუდგება. ამ ქვეყნად ჩვენს წინაშე შემდეგი საკითხები სდგას: თავისუფალი სრუტეები, არა მუსულმან მცხოვრებთა განთავისუფლება ოსმალეთის ბატონობისაგან. ოსმალეთის ხელში უნდა დარჩეს ის ადგილები, სადაც მცხოვრებთა უმრავლესობა ოსმალებისაგან შესდგება, მხოლოდ დაცულ უნდა იქნეს უმცირესობათა უფლებები. სადაც უმრავლესობას ესა თუ ის ერი შეადგენს, იქ ოსმალეთა ბატონობა მოისპობა. მეორე საკითხია სრუტეების თავისუფლება. სტამბოლს დიდი მნიშვნელობა აქვს თავის გეოგრაფიული მდებარეობით. ეს მთავარი პუნქტია შავ ზღვაზე, რომლის მოსაზღვრეც ჩვენ უნდა ეხლავე გავითვალისწინოთ. შავი ზღვის გარშემო მდებარეობს ექვსი თუ შვიდი დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომლებსაცაც ჩვენ გვინდა ურთიერთობა დავამყაროთ. მათთან მიმოსვლის გზა თავისუფალი უნდა იყოს ჩვენთვის. ჩვენი გაბატონება სრუტეებზე მცირე ერთათვის ხელსაყრელია. ჩვენ შეგვიძლიან მათი დაცვა. ოსმალეთი უნდა მოკლებული იყოს საშუალებას სრუტეების ჩაკეტვისა. სრუტეების მახლობლად არ უნდა იდგეს ოსმალეთის ჯარი. მოკავშირეებს სრუტეებთან თავიანთი გარნიზონი ეყოლებათ. ოსმალეთს არ ეძლევა უფლება ფლოტი იყოლიოს.

ამის შემდეგ ლოიდ ჯორჯი ამტკიცებს, რომ შეუძლებელი იქნება მოკავშირეებმა აიღონ მართველობა სტამბოლის, რომელიც დიდ ხარჯებს მოითხოვს და არც ხელსაყრელი იქნება ჩვენთვის. შემდეგ ამისა ის ამტკიცებს, რომ მცირე ერთა ინტერესები—სომხების და სხვების უფრო უზრუნველყოფილი იქნება, თუ კი სტამბოლი ოსმალეთის ხელში დარჩება. მოვაგონოთ უნდა ის, რომ სომხების ძლიერი გუნდი ყოველთვის სტამბოლში მუშაობდა. თუ ჩვენ ოსმალებს განვდევნით ქალაქიდან, ისინი ჩვენ თვალთაგან მოშორებულნი უფრო თავისუფლად შეიძლებენ მცირე ერთა ჟლეტის წყებას, ვიდრე სტამბოლში ყოფნის დროს ჩვენ ოსმალეთის ბატონობისაგან განვათავისუფლეთ [illegible] ქები, სადაც არა ოსმალები [illegible] ბენ; შავი ზღვის [illegible] ჩამოვართმევთ, რომელიც მათ საშუალებას აძლევდა ზიანის მომტანი პოლიტიკა ეწარმოებინათ და ვრცელი გავლენაც მოეხდინათ საერთაშორისო პოლიტიკის სფეროში. ეს კვლავ აღარ იქნება. ამასთანავე მივიღეთ ზომები, რომ ქრისტიან მცხოვრებთა სიცოცხლე უზრუნველყოფილი იყოს.

შავი ზღვის გუბერნიაში

(ა. ბუკიას ნაამბობი)

21 მარტს სოჭიდან ტუაპსეში წავედით მე, ბ. ჩინჩალაშვილი და დამფუძნებელი კრების წევრი ლ. რუხაძე.

ტუაპსეში ჩასვლისთანავე გამოირკვა, რომ იქ ადგილობრივათ არ არის არც ერთი ისეთი ძალა, რომელიც ემორჩილებოდეს სოჭის მთავრობას. ქალაქი ხელში ჩაეგდოთ ბანდიტებს, რომლებიც დაუნდობლად ძარცვავდნენ მშვიდობიან მცხოვრებთ. ბანდიტებმა მიითვისეს ჩვენი მთავრობის მიერ შეძენილი საქონელი და მოცემაზე უარი განაცხადეს. ელოდნენ რა მოხალისეების მოახლოებას, მათ გამოიყვანეს ციხიდან ოთხასამდე ტუსაღი და დახვრიტეს. ძარცვა-რბევაში მხურვალე მონაწილეობას იღებდა თვით ქალაქის კომისარი, ვინმე ოსიპ ჩილიკავი.

ამავე ღამეს ადგილობრივმა ბოლშევიკებმა ქალაქი დასტოვეს და წითელი ნადავლი თან წაიღეს. თან გაიყოლიეს ლეო რუხაძეც. მეორე დღეს ქალაქში შემოვიდა მოხალისეთა ჯარი. მათმა გენერალმა განგვიცხადა, რომ ჩვენ ვერთ მოხალისეთა ჯარის ნაწილი, დახლოვებით 50 ათასამდე კაცი. გადაეცით საქართველოს მთავრობას, რომ კეთილ-მეზობლური განწყობილება გვსურს დავამყაროთ თქვენთანაო.

იმავე დღეს ნოვოროსისკიდან ნადმოსნით მოვიდა გენერალი ულაგაი,—მთელი მოხალისეთა ჯარების სარდალი. მან საუბრის დროს განაცხადა, რომ ორმა ათასმა კაზაკმა დატოვა აპყარა მის 25 ათას ჯარისკაცს. ხოლო 15 ათასი შეიარაღებული მოდის ნოვოროსისკიდან გზატკეცილით ტუაპსეში. მაიკოპიდან მოსული ჯარი ტუაპსედან უკანვე წავიდა ნოვოროსისკისკენ იქიდან მომავალ ჯარის ზურგის გასამაგრებლათ. მოხალისეებს შუა მოუწყვიდა 10 ათასი ბოლშევიკი ჯარისკაცი. ტუაპსეში ჩამოვიდნენ ყუბანის ატამანი ბუკრეტოვი, ყუბანის მთავრობის თავმჯდომარე და ზოგიერთი წევრები.

გამოირკვა, რომ ყუბანელები დენიკინთან უკვე გაუწყვეტიათ ყოველივე კავშირი. დენიკინის მომხრე ჯარის ნაწილები გენ. ულაგაის ბრძანებით გადაიყვანეს ყირიმში.

ამრიგად ტუაპსეში დარჩნენ მხოლოდ ყუბანელები, რომლებსაც სათავეში გენ. ბუკრეტოვის და ბულიჩის გამოყოლებით, დენიკინელები უდგანან.

დონის ატამანი და ყუბანის მთავრობის თავმჯდომარე წამოვიდნენ გაგრაში. აქ მოვიდა აგრეთვე სოჭის მთავრობის თავმჯდომარე სამარინ-ფილიპოვსკი. აქ მოხდა შეთანხმება, რომ სოჭის მთავრობამ წინადადება მისცა გენ. შკუროსთვის, რომელიც თავის ჯარებით მოიწევდა სოჭისაკენ.

თანახმად მოლაპარაკებისა შკურომ უბრძოლველად დაიკავა სოჭი. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ჯარი ხაშინდელად მოქანცულია, ყუბანის ჯარის დაცემა აიხსნება მით, რომ სათავეში მას არ ჰყავდნენ ისეთი ხელმძღვანელები, რომლებიც იზიარებდენ რადის აზრს.

გენ. შკუროს ნაწილები აქვს, ერთი ნაბიჯიც არ გადადგას საქართველოსაგან. ყუბანის მთავრობის თავმჯდომარის განმარტებით ყურებული ლტოლვილები მოსდევენ შკუროს ჯარს. როცა ლტოლვილებს შეეკითხებიან—საით მიდიხარ—ყველა გაიძახის „მივდივართ საქართველოში, იქ ხალხს არ უნდა“ ყოველივე ზომები ყოფილა მიღებული, რომ ლტოლვილებს არ დატოვებინოთ თავიანთი ქვეყანა. ტუაპსემ დაუფინანსეთ, მაგრამ ლტოლვილთა დენა მაინც ვერ შეჩერეს.

ტუაპსეში საშინელი მდგომარეობაა. პური სრულიად არ იშოვება. თუ სადმე შემთხვევით წააწყდა კაცი პურს, გირვანქა 500 მან. ღირსი იყო შემთხვევა, როდესაც ერთ გირვანქა პურში, წყვილ ცხენს აძლევდნენ, ქუჩები სავსეა დახოცილი ცხენებით, ადგილობრივი მცხოვრებნი თვალცრემლიანი გვევედრებოდნენ სიცოცხლე მიეგებინებინა მათთვის და საქართველოში წაეყვანა.

გემი „პეროხით“ 1500 კაცამდე ლტოლვილები მოვიდნენ გაგრაში, ხოლო შემდეგ წამოვიდნენ ყუბანის „კრუგის“ წევრები, დონის ატამანი და მათი ოჯახები. ტუაპსედან გამოვედით 3 აპრილს. ამბობენ—ტუაპსეს რომ დავშორდით 18 ვერსით ზარბაზნების ხმა მოგვესმა. ალბათ, იმ საღამოს დაიკავეს ბოლშევიკებმა ტუაპსე.

ყუბანის მთავრობა და მისი ჯარი ხსნას ხედავს მხოლოდ საქართველოში და თუ ერიცხვა, ბრძოლა ველარ

შესძლეს, ფიქრობენ იარაღი ჩააბარონ ჩვენს მთავრობას და ამით გადაირჩინონ თავი.

ქუჩის ბავშვებისთვის

14 აპრილს (აღდგომის მე-4 დღეს) საზოგადოება „ქალაქის კავშირი“ წინა წლების მიხედვით, ყულაბებით ფულს მოაგროვებს.

ამ საქმეში უნდა მხურვალე მონაწილეობა მიიღოს მთელმა დემოკრატიამ და უპირველეს ყოვლისა მუშათა კლასმა.

დღიდან დაარსებისა (1912 წ.) ამ საზოგადოებას მიზნად აქვს დასახული ზრუნვა ქუჩის, უკიდურეს სიღარიბის შვილებზე. ეს საზოგადოება მუდამ ფიქრობდა, რომ უმწეო და უპატრონო ბავშვების მოვლა-პატრონობა უზრუნველყოფილი იქნება მხოლოდ მაშინ, როცა ამ საქმეში ჩაებმება ქალაქის უღარიბესი ნაწილი, ვინაიდან როგორც ნათქვამია, „მუშათა საქმე უნდა აკეთონ თვით მუშებმა“. ჩვენ გვჭირია თვით მუშების ორგანიზაციები და არა ორგანიზაციები მუშებისათვის.

საზოგადოება „ქალაქის კავშირისა“ შეუჩერებლივ ამაგრებს თავის ორგანიზაციას ჩვეულებრივ ლაშქრებით და ამავე ლაშქრებით მან შეიტანა მოხსენებები ქ. თბილისის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოში და სხვადასხვა დემოკრატიულ ორგანიზაციებში. ავლაბარში მაგალითად, ამ წმინდა დემოკრატიულ რაიონში საზოგადოებამ მოახერხა და უკვე ჩაჰყარა მტკიცე საძირკველი—ავლაბრის რაიონის გამგეობის შექმნით, სადაც შევიდა 11 წარმომადგენელი მუშათა და სხვა დემოკრატიულ ორგანიზაციებისა და რომელმაც იკისრა მთელი რაიონის უმწეო ბავშვებზე ზრუნვა.

ამიტომ ქუჩის ბავშვებისათვის ფულის მოგროვებაში მხურვალე მონაწილეობა უნდა მიიღონ არა ქველმოქმედებმა, არამედ—თვით შრომის შვილებმა—მუშებმა, რომლებიც ქმნიან ცხოვრების ახალ ფორმებს.

ამხანაგებო მუშებო! თქვენ არ შეგიძლიათ, თქვენ არა გაქვთ არც ზნეობრივი და არც რევოლიუციონური უფლება, ამ დღეს განზე დადგეთ და როგორც გარეშე მაყურებლებმა, უყუროთ ბრძოლას უსაშინლეს სოციალურ სიბოროტეს, როგორიცაა ამ ქამად მდგომარეობა უმწეო ქუჩის ბავშვებისა, იმ ბავშვებისა, რომელნიც არიან მემკვიდრენი და ნაყოფნი ჩვენი ბრძოლისა, მსხვერპლნი უქმედესი, მომავალ ცხოვრებისა. ქუჩის ბავშვები უნდა გამოვგლიჯოთ სიკვდილს კლანჭებიდან და ვიხსნათ ისინი სულიერ და ფიზიკურ გახრწნილებას და გაწყვეტისაგან.

14 აპრილს ფულის მოგროვებაში მონაწილეობის მიღების მსურველთ, ვთხოვთ გამოცხადდნენ კრებაზე 13 აპრილს, საღამოს 5 ს., ქალაქის გამგეობაში.

ყოველივე ცნობა მიიღება მუდამ დღე საზოგადოების კანცელარიაში ქალაქის გამგეობის შრომისა და სოციალურ დახმარების განყოფილებაში დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

საზოგადოება „ქალაქის კავშირის“
გამგეობა.

ერობათა ცხოვრება

(შორაპნის სამაზრო ერობის ხმოსანთა მე-5 ყრილობის გამო).

ორი აპრილს დასრულდა შორაპნის სამაზრო ერობის ხმოსანთა მე 5 ყრილობა.

იგი სულ ხუთი დღის განმავლობაში მუშაობდა, ცხრა თუ ათი სხდომა მოანდომა მაზრის საჭირბოროტო კითხვების გაშუქებას, მაგრამ ვინც ზერელედ მაინც გადახედავს თვალყურს ამ ყრილობის ანგარიშებს, არ შეუძლია გულწრფელად არ აღიაროს, რომ ეს იყო არა ჩვეულებრივი სხდომები, არამედ ზეიმი მაზრის ინტერესების გამარჯვებისა, სიმბოლო ხალხის შემოქმედებითი მოღვაწეობისა მუნიციპალურ დარგში.

ყველას კარგად მოეხსენება, რომ მუნიციპალური დაწესებულება, ეს არც პარტიული ასპარეზია და არც არა თუ იმ ჯგუფთა ინტერესების დამცველი ორგანო.

იგი ხალხის საერთო ველია, ერის კერაა. აქ ერთდებიან, თავს იყრიან მცხოვრებთა ინტერესები, განურჩევლად კლასისა, სქესისა და მიმართულებისა.

აქ ყველას მხოლოდ ერთი ინტერესი აქვს: აწყობდეს შემოქმედებითი მუშაობა მთელი ერის საკეთილდღეოდ, ერის წარმატებისათვის, და ვისაც ის შეუძლია ამ შემოქმედებით მუშაობაში, ცდა ამ დაწესებულების საგანგებო მაგალითს გამოყენებისათვის,—ეს დანაშაული, ქვეყნის ღალატი, ეს ღალატია ხალხის ინტერესებისა, მუნიციპალურ მოღვაწეობის პრინციპისა...

როგორი იყო ამ მხრივ შორაპნის მაზრის ხმოსანთა მე V ყრილობა?

— დადებითი, მხოლოდ დადებითი! რაც უნდა პირველ რიგში აღინიშნოს...

ხედავთ 30—35 ხმოსანს, ყველას სხვადასხვანაირად მოაზროვნეს, სხვადასხვა პარტიის წევრებს, მაგრამ აქ, ამ ყრილობაზე, ყველას ერთი რამ ასულდგმულებს, ყველას ერთი რამ ამოქმედებს: არ დაუშვათ რაიმე ისეთი, რაც დაარღვევს ყრილობის მთლიანობას, რაც კინკლაობის ელფერს მისცემს ჩვენ მუნიციპალურ მოღვაწეობას...

და ეს ასეც ჩატარდა თავიდან ბოლომდის გამოუნაკლისებლივ!

რა საკვირველია, შეუძლებელია ხმოსანს, სხვა მრწამსის მქონეს, ის ჩადოს თავში, რაც შენ გასულდგმულებს, გახადო შენსავით მოაზროვნე,—მის გამოსვლებში ცხადია იქნება სხვაობა შენთან შედარებით, მაგრამ როდესაც ასეთი პირი თავის პირად თუ პარტიულ ინტერესებს უმორჩილებს ხალხის საერთო ინტერესებს,—ეს დაუფასებელი მოქმედებაა და შორაპნის ხმოსანთა ყრილობა, ამ მხრივ სწორედ სამაგალითო მოვლენათ უნდა ჩაითვალოს ჩვენში ახლად შექმნილ მუნიციპალურ დაწესებულებათა ცხოვრებაში..

ეს იმის მომასწავებელია, რომ ხალხის ნდობით აღჭურვილ პირებს შეუგნიათ მთელი სიმძიმე თანამედროვე მომენტისა, და ოდნავადაც არ ფიქრობენ ამორჩეველთა ინტერესების საზარალოდ ერთმანეთს ხელი შეუშალონ ამ კულტურულ შემოქმედებაში.

არ შეიძლება აქვე არ აღინიშნოს ერობის გამგეობის მოქმედებაც, როგორც წარსულში, ისე მომავალში.

გამგეობის თავმჯდომარე ამხ. ზურაბიძე ვრცელ მოხსენებას უძღვნის ყრილობას მათი წარსული მოქმედების და მომავალი გეგმების შესახებ. და არ ყოფილა შემთხვევა გამგეობის ეს სამოქმედო გეზი, რომელსაც პარტიას დაერღვიოს, არამც თუ დაერღვიოს საფუძვლიანად გადაკრიტიკებულიყოს.

„ოპოზიციონერებს“, და ასეთები მცირე გახლდათ, მხოლოდ რამოდენიმე დეფექტები გაუხადათ თავიანთი გამოსვლების საგნათ გამგეობის წინააღმდეგ, და ოდნავაც ვერ ეხებოდნენ მათ საერთო ხაზს.

ეს კი იმას ამტკიცებს, რომ ჩვენი ერობის აღმასრულებელ ორგანოს, მტკიცეთ შეუთვისებია ხალხის საარსებო მოთხოვნილებანი, გამხდარა ხალხის ინტერესების მესაიდუმლე და ეს ჩვენ უფლებას გვაძლევს მათ მივცეთ სახელი მუნიციპალი მოღვაწეობისა...

დასასრულ ორიოდე სიტყვა ერობის ფინანსიურ მხარეებზე.

ერობა ჩვენში რევოლიუციის შედეგია... იგი ისევ ნგრევის პროცესში იშვა... წარსული მას არ ქონია, და ეს საერთო მიზეზია ჩვენი ერობების ფინანსიური კრიზისისა...

საერთო მოვლენას ვერც შორაპნის ერობა ასცდა. მისი 43 მილიონიანი ბიუჯეტი 10 მილიონი დეფიციტით დასრულდა, მაგრამ თუ ერობის გამგეობა შესძლებს ნახევარი მაინც გააკეთოს, რაც მან თვის იდეა თუნდაც იმავ ბიუჯეტით, ეს ათი მილიონი უნდა ჩაითვალოს არა დეფიციტათ, არამედ—მოგებად ხალხის ინტერესების თვალსაზრისით...

და ჩვენც ამის შემდეგ მხოლოდ ერთი რამ დაგვრჩენია: ვუსურვოთ ახლად არჩეულ გამგეობას იმის გამართლება, რაც მას ხალხმა დააკისრა მიმდინარე სესიის სხდომაზე...

შალვა თუთბერიძე.

პროფესიონალურ კავშირებში

კავშირების სეკრეტარიატში.

8 აპრილს შესდგა პროფესიონალური კავშირების სეკრეტარიატის წევრების სხდომა ხელაძის თავმჯდომარეობით.

დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: კარაპეტიანის განცხადება ყოფილ მუშათა კლუბში ინვენტარის დაბრუნების შესახებ, კინემატოგრაფის გამართვა მუშათა სასახლის ბაღზე (ტერასაზე), საკითხი ლითონზე მომუშავეთა კავშირის და განახლებული ლითონზე მომუშავეთა კავშირის მუშათა დამოკიდებულებისა.

პირველი საკითხი მიენდო თოფურიძეს და ჩხარტიშვილს მოსაწესრიგებლად. მეორე საკითხი სირთულის გამო გადაიდო და მიენდო ამორჩეულ კომისიას,—ჩხენკელს, აბდუშელიშვილს, გიორგაძეს და საფარიძეს გამოსარკვევად და მოხსენების გასაკეთებლად. მესამე საკითხზე მოკლეთ აცნობს სხდომას ა. ხელაძე შემდეგ მოხსენებას აკეთებს გ. ახალბედაშვილი, რომელიც ამტკიცებს, რომ თავიდანვე კავშირის „არამკითხე მამები“, რომლებსაც ყველზე ადვილათ ჩვენი დემოკრატიული წეს წყობილება და მთელი მუშების ოფლით გადახდილ საწევრო ფულებს ანდობენ ვიწრო პარტიულ მუშაობას. ამით კი კავშირი მიიყვანეს დაღუპვამდე; ჩვენ კი პროფესიონალური კავშირი გვინდა მუშებისათვის. რომლებმაც შემოგვქვეს საწევრო გადასახადი და იწამეს ჩვენი დემოკრატიული წესწყობილება. კითხულობს სარევიზიო კომისიის მოხსენებას, სადაც სწერია, რომ მუშებისგან დეკემბერში 1919 წ იხდიდნენ 825 კაცი, თებერვალში 1920 წ. დაიკლეს და აღარ შემოიტანეს საწევრო გადასახადი 200 კაცმა და ფაქტიურად ის 600 კაცი, რომელიც იხდიდა გადასახადს, იყვნენ არსენალის სახელოსნოების და საინჟინრო ქარხნების მუშები, მათ ფულებს კი ფლანგავდნენ არა წევრები და ყველა გამოცხადებული კომუნისტები. ჩვენ არ გვინდა პარტიობა კავშირში, გვინდა ჩვენი ეკონომიური ცხოვრების მოწყობა და ამიტომ მოვითხოვთ, რომ ჩვენ ჩავერიცხოთ საერთო პროფესიონალურ კავშირების ხაზში, რაც განახლებულ ლითონზე მომუშავეთა კავშირის წევრებს მისცემს საშუალებას გაამაგრონ და შეადგინონ კავშირი. მიიღეს ა. ხელაძის რეზოლიუცია: სეკრეტარიატი სცნობს კანონიერათ განახლებულ ლითონზე მომუშავეთა კავშირს და ეცდება, რომ მუშები კი არ დაქსაქსოს, არამედ—ორგანიზაციისაკენ და სოლიდარობისაკენ მოუწოდოს და ამით აცნობებს თბილისის პროლეტარიატს, მხოლოდ პროფესიონალურ კავშირებში დარაზმული შეძლებს დაიცვას, როგორც თავის თავის კლასობრივ და ეკონომიურ ინტერესებს, ისე თავისუფლების წმინდა დროშას.

ოჯრი.

სახალხო გვარდიაში

ახალციხე. 4 მარტს სამაზრო შტაბის წევრმა ანანია სულუქაძემ გააკეთა მოხსენება კულტურულ-განმანათლებელ განყოფილების დაარსების შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა რა მნიშვნელობა და აუცილებელი საჭიროება კულტურული განყოფილების დაარსებისა, მისცა წინადადება შტაბს, აერჩია დროებითი სექციის წევრები. შტაბმა აირჩია კულტ. განმანათ. სექციაში შემდეგი პირნი: აფიცერი გაგნიძე, რწმუნებული ნიკო ინასარიძე, გვარდიელი ხუციშვილი, გვარდიელი ალექსანდრე მელიქიძე, აფიც. ვარძიელი და ფერაძე გელაშვილი. (შტაბის წარმომადგენელი დამატებით იქნება არჩეული).

5 მარტს შესდგა კულტურულ-განმანათლებელი სექციის პირველი კრება. სექციის თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა აფიცერი ივ. გაგნიძე, მდივნათ რწმ. ნიკო ინასარიძე და მოლარეთ გვარდიელი ხუციშვილი.

6 მარტს კულტ. გან. განყოფილების მიერ კრებაზე სხვა კითხვებთან ერთად გადასწყდა მესხეთის გვარდიის საზეიმო კრების მოწვევა.

7 მარტს თეატრ „რომა“-ში მოხდა საზეიმო კრება, სადაც ვრცელი მოხსენება გააკეთა ანანია სულუქაძემ მიმდინარე მომენტზე; განყოფილების დაარსებას მიესალმნენ სხვადასხვა ადგილობრივ ორგანიზაციების წარმომადგენლები და აღუთქვეს მას ყოველგვარი დახმარება. ამავე კრებაზე მესხეთის გვარდიელებმა, სექციის წინადადებით გადასდეს ერთი დღის ჯამაგირი ფონდში დაზარალებულთა დასახმარებლათ.

9 მარტის განყოფილების კრებამ დაადასტურა სკოლის დაარსება კადრის გვარდიელებისათვის; უფასო წარმოდგენის დადგმა, სცენის მოყვარეთა დახმარებით და რაც შეეხება წიგნსაცავის შევსების საკითხს, ჯერ-ჯერობით უნდა შეძენილ იქნეს სახელმძღვანელოები და საწერ-ნივთები სკოლის საჭიროებისათვის.

16 მარტს აწყურში გაიმართა აწყურის სახალხო გვარდიის კრება. კრებაზე მიმდინარე კითხვების შესახებ მოხსენება გააკეთა მთავარი შტაბის წევრმა. აირჩიეს საოლქო ყრილობისთვის დელეგატი.

სოფ. უდეში (ქვაბულიანის რაიონი). 7 მარტს გაიმართა გვარდიელთა კრება. კრებას ესაუბრა თანამედროვე ვითარებაზე ნ. თარაგველიძე. მიიღეს შესაფერი დადგენილებანი და აირჩიეს საოლქო ყრილობისათვის დელეგატები.

სოფ. ტოლოში (ურავლის რაიონი). 19 მარტს მოხდა რაიონის გვარდიელთა კრება ოფიც. ივ. გაგნიძის ხელმძღვანელობით, მოხდა დელეგატების არჩევნები საოლქო ყრილობისთვის.

ახალციხე. 22 მარტს, თეატრ „რომა“-ში მოხდა საერთო გარნიზონის ჯარის და გვარდიის კრება, სადაც დაესწრნენ ჯარის და გვარდიელთა გარდა გენერალი წულუკიძე თავისი შტაბით და მოწინავე ამხანაგები ახალციხისა. ბათუმის შესახებ მოხსენება გააკეთა ან. სულუქაძემ, რომელიც აღნიშნა: 1) ბათუმის ისტორიული წარსული და მისი განუშორებლობა საქართველოსაგან! 2) მტრის მადა და მათი მისწრაფება ბათუმის მიმართ, ჩასაგდებათ და 3) მოკავშირეთა მიერ ბათუმის პორტო-ფრანკოთ გამოცხადება და მთავრობის მუშაობა ბათუმის შესახებ. დასასრულ მომხსენებელმა აღნიშნა ჯარის და გვარდიის ისტორიული მოვალეობა და დანიშნულება საქართველოში. ბოლოს გენერალმა წულუკიძემ მოკლე სიტყვით მიმართა ჯარს და გვარდიას და აღნიშნა, რომ როგორც ჯარი, ისე გვარდია, თავისებური სიმამაცით ერთსულოვნათ და უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ერთად იმოქმედებენ სამშობლოს საკეთილდღეოთ, რასაც ხანგრძლივი ვაშა და ტაშის ცემა მოჰყვა. მან სიტყვა შემდეგი მოწოდებით გაათავა: გაუმარჯოს დამოუკიდებელ დემოკრატიულ საქართველოს, გაუმარჯოს საქართველოს ბელადს ნოე ნიკოლოზის ძე ჟორდანიას!

სახ. გვარ. კულტ. განმანათ. სექციის მდივანი ნ. ინასარიძე.

ს.-დ. პარტიაში

თბილისი. 4 აპრილს ადგილობრივ მუშათა პოლიტიკურ კლუბის შენობაში შესდგა მე 6 რაიონის ს. ს. დ. მ. პ. წევრთა საზოგადო კრება. კრებას თავმჯდომარეობდა ამხ. ინწკირველი, დაესწრო 150 წევრი, მოსმენილ იქნა ამხ. აკაკი ჩხენკელის მოხსენება მიმდინარე მომენტზე. ამხ. მომხსენებელი ეხება საქართველოს საგარეო და შინაურ დღევანდელ მდგომარეობას, ადარებს რუსეთისას. რამდენიმე შეკითხვა-განმარტების შემდეგ ერთხმად მიღებულ იქნა ამხ. მ. ნაკაშიძის რეზოლიუცია: „მე 6 რაიონის თბ. ორგ. ს. ს. დ. მ. პ. წევრთა საზოგადო კრებამ 4 მარტს მოისმინა რა ამხ. აკაკი ჩხენკელის მოხსენება საქართველოს საგარეო და შინაურ მიმდინარე პოლიტიკურ მდგომარეობაზე, დაადგინა, რომ მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯები არის დემოკრატიის ინტერესებისთვის მიზანშეწონილი, და ამასთანავე საზოგადო კრება აღუთქვამს რესპუბლიკის უზენაეს ორგანოს, დამფუძნებელ კრებას და მის მთავრობას სრულ ნდობას და შინაურ სიმტკიცეს ჩვენი მომავალი მიზნების განხორციელებაში“. კრება მგზნებარე ტაშით და ოვაციით აცილებს ამხ. მომხსენებელს.

მ. ნაკაშიძე.

თბილისი. 28 მარტს შესდგა ს. ს. დ. მ. პ. პირველ რაიონულ ორგანიზაციის დეპოს ქვე-კოლექტივის წევრთა საერთო კრება. დღის წესრიგი: ქვე-კოლექტივის წევრთა არჩევნები. არჩეულ იქნენ ქვე კოლექტივის წევრებათ: ი. მანჯგალაძე, დომენტი პაპიძე, ერ. ნაზარბეგოვი, აზმაიფარაშვილი, ს. ცერაძე, არ. ჩხაიძე, გ. ცერაძე, ერ. ლომიძე და ნინუა ვიქტორ.

პრეზიდიუმის არჩევნები მოხდა 28 მარტს. თავმჯდომარეთ ი. მანჯგალაძე, ამხანაგათ ნინუა ვიქ., მდივნათ ლომიძე ერმილე. შემდეგ კრება იმუშავებს რეგლამენტს. ქვე კოლექტივის სხდომები მოხდება პარასკეობით სად. 5 ნახევარ საათზე. კრება იცდის 15 წ. შემდეგ კრება იხურება თუ ქვორუმი არ შესდგა. წევრი, რომელიც 15 წუთს მეტს დაიგვიანებს, ის სხდომაზე დამსწრეთა რეგისტრაციაში არ შევა.

ბოლოს არჩეულ იქნენ საგამომძიებლო კომისიაში აზმაიფარაშვილი სოლომონ, ცერაძე გერასიმე და ჩხაიძე არეთი. ვუსურვებ ახლათ არჩეულ ქვე-კოლექტივს ენერგიულ მუშაობას.

ცემმერელი.

პროვინციაში

ყაჩაღების თარეში გორის მაზრაში.

გორის მაზრაში ყაჩაღებმა კვლავ წამოყვეს თავი და თავიანთ ბნელ საქმეების გაკეთებას განაგრძობენ. სოფელ გრაკალში მოიტაცეს ვაჭარი უზუნაშვილი, ატენში იქურდეს და ცნობის მიღებისთანავე გამგზავრებული მაზრის მილიციის ორი მილიციონერი მძიმედ დაჭრეს და მშვიდობიანათ გზას გაუდგნენ. ამ რამდენიმე დღის წინათ სოფ. ყულეთის თავზე, მოჰკლეს და აწიოკეს ცნობილი პეტიოსანი მუშაკი და საყვარელი ამხანაგი სახ. გვ. ი. ნოზაძე. ყულეთი, წითელწყარო, ავლევი, ოსიაური, წეღვანი, ქვემოხვედურეთი და ახალსოფელი, აი ჩვენი მაზრის ყაჩაღთა ბუდე და მისი შემნახველები. ეს მოთარეშე ჯგუფი—სწორედ ის ვაჟბატონები არიან, რომელნიც შემთხვევით გადაურჩნენ გასულ წლის ნოემბრისა და დეკემბრის თვეებში მაზრაში მომხდარ ექსპედიციას და დარჩენილები შურს იძიებენ ვითომ, მაგრამ ის კი დაავიწყდებათ, რომ მათი სიცოცხლე და თარეში მეტად ხანმოკლე იქნება. ადმინისტრაციის წევრები, სამწუხაროდ, ვერა სდგანან თავის სიმაღლეზე. მაგალითად ოსიაურში მილიციონერები ყაჩაღებთან ქეიფს აწყობენ და მათთან კავშირი გაბმული აქვთ. ატენის რაიონში ვიღაც საკუთარი ერობის სახელით სარგებლობს და ორი ლამაზის უჭერს სამახარს გ. ი. ყაჩაღებთანაც კარგ განწყობილებაშია და ამავე დროს თვის ერობის ხმოსანიც ბრძანდება. საკუთრების ვინაობას ადმინისტრაცია კარგათ იცნობს, თავისი წარსულის საქმეთა გამო.

გომის თემში მილიციის უფროსი „პანიკის“ მსახური გამოდგა. ნაცვლად ენერგიულ ზომების მიღებისა, თავის რაიონში ის დეპეშით იტყობინება: „საჭიროა სასწრაფო ზომები, კომუნისტების გამოსვლები იწყებაო“. სინამდვილეში კი, ორ სამ ყაჩაღთაგანს გზით ჩაუსაფრებიათ მგზავრების მიმართულებით.

მეჯვრისხევში თემის ერობის გამგეობის წევრი ქრთამს იღებს, რათა პასუხისმგებლობას გადაცდეს სადავო სასამართლოს მიერ ნოემბერ-დეკემბერში თითქმის წლის კატორღა მისჯილი რაჟდენ ურიგაშვილს (ხელისუფლების გამოსვლებში იარაღით ხელში გამოსული არსებულ წყობილების საწინააღმდეგოთ. ს. მეჯვრისხევში). თემის გამგეობის წევრმა ბ-ნ ი. კასრაძემ წაიღინა სწორეთ ეს სამარცხვინო საქმე და კატორღელის ოჯახს დაჰპირდა მისი განთავისუფლება, ხოლო მოითხოვა ცოტა „ბლომა“, რათა მისი სიტყვებით, ნაწილი გადაეცა „უფროსებისათვის“. მაგრამ მასვე სამწუხაროდ არ გაუმართლდა მას ეს იმედები და დაპირების აუსრულებლობის შემდეგ, ეხლა უკუგდების ოჯახის ჩვენებით და ცხადათ მოწერილი ბარათით ტუსაღისა ამჟღავნებენ ყოველივე ამას, იმავე თემის გამგეობის თავისნობით იკრიბება „ძალლები“, რასაც აუარებელი ბოროტმოქმედება მოსდევს.

მაგ. 1) კვიტანცია № 135—29-ში გლ. ლეკიშვილისგან აღებულია —10 ფუთი, ფაქტიურად კი აღებულია 16 ფუთი ხორბალი და სიმინდი. 2) გ. ბიბილაშვილისგან კვიტ. № 136—35 აღებულია 8 ფუთ. ქერი ხალი, სინამდვილეში კი აღებულია 8 ფუთი. 3) ი. ზარიყოვისაგან კვიტ № 140—8 აღებულია 3 ფუთი ქერი ხალი, სინამდვილეში კი 4 ფუთი, ასე, რომ, ასეთი ფაქტები მრავალია, რომლის მასალები ჩვენს ხელთ არის დაცულებული, საზიზღარი ბოროტ მოქმედება ხდება, რომელიც მთავრობის სახელით კეთდება და მთავრობამ კი ამის შესახებ არაფერი იცის. მასალები უკვე საქმეთა და ჩვენ მოვითხოვთ სასწრაფო რადიკალურ ზომების მიღებას ვისაც ეს ეხება, რათა მთავრობის პრესტიჟის შეურაცმყოფელნი და ბოროტ-მოქმედნი წარსდგნენ სამსჯავროს წინაშე და პასუხი აგონ, როგორც მოღალატეებმა ხალხის ნდობისა. ბოროტ მოქმედნი ესენი არიან და არა ყაჩაღები, რომელთა მისწრაფებანი ჩვენთვის გარკვეული წინდაწინვე. ოთხ აპრილს გორის მაზრის სახ. გვ. წარმომადგენელთა ყრილობამ, რომელსაც დაესწრო 28 დელეგატი, აგრეთვე მთავარი შტაბის, რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი და სამაზრო ერობის—მდგომარეობა მაზრის ყოველ მხრივ გამოარკვია და ერთხმათ აღნიშნა, რომ არაფერი საშიში მოვლენებს ადგილი არა აქვს და არც ექნებოდა ადმინისტრაციის აპარატი რომ მიზანშეწონილი იყოს და ყველა მოხელე თავის მოვალეობას ასრულებდეს. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, ერთხმათ დაადგინეს „მიღებულ იქნას საჭირო ზომები ყაჩაღების სალიკვიდაციოთ, მოწვეულ იქნას სასწრაფოდ მაზრის თემების წარმომადგენელთა ყრილობა, სადაც დაისვას ადმინისტრატიული აპარატის მაზრაში მოწყობისა და ბოროტ მოქმედ მოხელეთა პასუხისგებაში მიცემის შესახებ. მთავრობამ, საჭიროა ენერგიული ზომები მიიღოს, და დამნაშავე მოხელეები სასტიკად დასაჯოს. დეე—ერთხელ კიდევ გაიგონ ურწმუნო თომებმა, რომ კანონის წინაშე ყველა ბოროტ მოქმედი ერთნაირად აგებს პასუხს, რომელი პარტიის იარლიკითაც არ უნდა იყოს ეს ჩადენილი. დროზე თუ არ იქნა ზომები მიღებული, შეიძლება მდგომარეობა შეიცვალოს და თუ გასულ წლის ორი დიდი—დანაკლისი გვერდით წილით ამხ. ს. ჩიხლაძის ატენში დაკარგვა და ახალ სოფელში სვანიძისა—შეიძლება ამას ფური საფრთხობი მსხვერპლი მოჰყვეს და შემდეგ ძვირადღა იქნება „თითებზე კბენანი“.

ძია გაბო.

ხოფ. ყანდაური (სიღნაღის მაზრა). 29 მარტს ყანდაურში გვეწვიენენ დამფუძნებელი კრების წევრი [illegible] შვილი და სიღნაღის სამაზრო [illegible] გამგეობის წევრი ი. კრაწაშვილი. შესდგა სოფლის ყრილობა. მომენტზე მოხსენება გააკეთა ს. აბრამიშვილმა. თემის საქმეებზე ილაპარაკა ხალხს ი. კრაწაშვილი. კრებაზე გამოირკვა, რომ ყანდაურის თემის გამგეობა სრულიად არ აქცევს ყანდაურის ყურადღებას და მთელი ხოფელი უპატრონოთ არის დატოვებული. კრებამ სთხოვა ერობის გამგეობის წევრს, ყანდაური ჩამოშორებინათ კავბადოის თემისთვის და მოეწყოთ ცალკე ყანდაურის თემი, რომელსაც მიეწერება მიწიანი და ბადიაური. ერობის გამგეობის წევრმა განმარტა, რომ ეს გამოიწვევს განსაკუთრებულ ხარჯებს და თვით თემის მართველობაც ხვეტი იქნება. მცხოვრებლებმა კრებაზე განაცხადეს, რომ მართალია, ხარჯი მოგვემატება, მაგრამ რადგან კავბადოს თემის გამგეობა ყურს არ გვიგდებს, ხარჯს არ დავერიდებითო. ამ საკითხის გადასაწყვეტათ დაინიშნა სოფლის განსაკუთრებული ყრილობა 4 აპრილისთვის. ერობის გამგეობის წევრმა მიიღო სხვადასხვა მოთხოვნები და საჩივარი საკითხები. ხალხი კმაყოფილი დარჩა მათი მისვლით და აღუთქვეს, რომ დაიცავენ ყოველმხრივ წესრიგს და არ გაუშვებენ ჩვენი ქვეყნის დამღუპველ ვაჟბატონებს.

ზაქარიაშვილი.

განცხადებანი

გამოცდილ ბუღალტერს
რომელსაც მიღებული აქვს ყოველმხრივი გამოცდილება სხვადასხვა სამრეწველო და საზოგადო დაწესებულებებში 15 წლის განმავლობაში, სურს
გამოიცვალოს ადგილი.
მისამართის გაგება შეიძლება გაზ. „ერთობის“ რედაქციის კანტორაში.
(1122 4—3)

ქ. თელავში იყიდება
სახლი
გ. მიქირტუმოვისა მე 3 ნაწილში ქუჩ. № 23 იკითხეთ თელავში მიხეილ ოგანეზოვთან. თბილისში ივანოვის ქ. № 13. (1234—1—1)

ექიმი
ი. ი. ჭეიშვილი
იღებს სპეციალურად: სიფილისით (შვ. 606—914) ვენერიულ და შარდ ორგანოებით სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილ. 9—11 ს. და საღ. 5—7 ს. დავითაშვილის ქუჩა № 72, ალექსანდროვის საზოგადოების პირდაპირ. (1224—თ.)

ოზურგეთში
ექიმი აბაშიძე
ღებულობს ავადმყოფებს შინაგან სნეულ: ფილტვების, გულის, კუჭის და ნაწლავების ჭლექის აქიმობა „ტუბერკულინით“ და „ფოსფაცილით“, ვენერიული: სიფილისი და მისი შედეგები—„914“ და „606“ შეშხაპუნებით. ქ. სიამაშვილის სახლში. (კუპ. 336.)

საჩქაროდ იყიდება
60 „პარტა“
საკლასო დაფები („ლინოლიუმი“) მაგიდა 20 ცალი თითო 450 მან. და 40 ცალი 750 მანეთი. პლეხანოვის ქუჩა № 25, მაჩაიძის ბინა, (შესავალი ალექსის ქუჩის კუთხიდან). 9—4 ს. (3 1—1)

ექიმი ქალი
მ. მ. ალფეევი
წყნეთის ქუჩა № 26. იღებს ყოველ დღე 12—2 საღამოს 6—7. სპეციალურად ქალების ავადმყოფობა და ვენერიული ავადმყოფობა.

ექიმი [illegible]
იღებს შინაგან და [illegible] ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე. [illegible] ქუჩა № 61; [illegible]

სახლი მამული, აგარაკი, ნავთის მადნიანი და ზღვის პირად მდებარე ადგილები ქ. თბილისში და მთელ კავკასიაში, სამრეწველო და სავაჭრო დაწესებულებანი, ზავოდები, ფაბრიკები და ყოველგვარი ფასიანი ნივთები ვისაც სურს სწრაფათ და მოგებით იყიდოს ან გაყიდოს მიმართოს „ინტელიგენტთა ჯგუფს“ რომელსაც სხვადასხვა აქვს დაწყობილი კლიენტურა. დიდია მოთხოვნილება და მიწოდება. მისამართი: დავითის ქ. № 3, ბინა № 2. ტელეფონი 2—28 თბილისის და საქალაქთაშორისო. დილის 11—2 საათ. და საღამოს 5—7 საათ. (1233—1—1)

მიმდინარე აპრილის 20-ს დღის 2 საათზე ოზურგეთში მოწვეულია ოზურგეთის სამაზრო ერობის
ხმოსანთა მორიგი ყრილობა
დღის წესრიგი: 1) გამგეობის მოხსენება, 2) 1920 წლის ხარჯთაღრიცხვა და 3) მიმდინარე საკითხები.
(1227 2—2) ოზურგეთის სამაზრო ერობის გამგეობა.